ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№107 (1617)

1–2 ნოემბერი, 1997 წელი




დასასრული...

## „მოქალაქეთა კავშირს ყელში უნდა ამოვადინოთ მილიონი სამუშაო ადგილი“

„მილიონ სამუშაო ადგილთან დაკავშირებით მოქალაქეთა კავშირმა ან უნდა თქვას, რომ მოატყუა ხალხი, ან თავი უნდა გაიმართლოს“ – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თავისუფლების პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი ტაბიძემ. მანვე აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს კი არ უნდა შეპირდე ხალხს, არამედ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაამტკიცო ის, რისი გაკეთებაც შეგიძლია.

გ.ტაბიძის თქმით, თავისუფლების პარტიის წევრები დადიან ქვეყნის რეგიონებში და იმედი აქვთ, რომ აჭარასა და იმერეთში სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ სხვა პარტიებს, რომლებიც, პრეს-კონფერენციის ორგანიზატორთა შეფასებით, რეალურად არაფრის გამკეთებლები არ არიან და ყოველ მათგანს აწყობს ხელისუფლებაში მოქალაქეთა კავშირის ყოფნა.

როგორც პარტიის სათათბიროს სპიკერმა არჩილ მორჩილაძემ განაცხადა, პრეზიდენტი თვლის, რომ იგი კვლავ რჩება მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარედ, ამდენად იგი პარტიასთან ერთად პასუხისმგებელია ქვეყნის წინაშე წინასაარჩევნო პროგრამის შეუსრულებლობაზე. „ჩვენ მოქალაქეთა კავშირს ყელში უნდა ამოვადინოთ მილიონი სამუშაო ადგილი“ – დასძინა ა.მორჩილაძემ. (იპრინდა)

## ახლებურად „რედაქციებული“ სამედიცინო ტერმინები:

„მობილიზაციებული“,
„კანალიზაციებული“,
„პროსტიტუციებული“
და მისთანანი

მესამე გვერდი

## რისთვის ჩხაოდა მაჩხანელი

მეოთხე გვერდი

## საქართველოს თურმე ბირთვული იარაღიც ჰქონია

მეშვიდე გვერდი

## რატომ „გაიბნა“ „ჯაბა იოსელიანისა და მისი ჯგუფის“ საქმის ერთი ტომი?

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასული ცნობის თაობაზე, რომელიც „ჯაბა იოსელიანისა და მისი ჯგუფის“ 75 ტომიანი საქმიდან ერთ-ერთი ტომის დაკარგვას შეეხებოდა, „იპრინდა“-ს კორესპონდენტი დაუკავშირდა მოსამართლე ჯემალ ლეონიძეს, რომელმაც განმარტა, რომ საგანგაშო არაფერი მომხდარა. მისივე თქმით, შესაძლოა ტომი გაბნეულია და იგი კანცელარიაშიც აღმოჩნდეს. თუმცა, როგორც ჯ.ლეონიძემ აღნიშნა, დაკარგვის შემთხვევაში ძნელი არ იქნება მისი აღდგენა, რადგან არსებობს დაკარგული ტომის ქსეროასლები. (იპრინდა)

## ქვანია პროკურატურას ელოდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ თავი აარიდა მას და ასლან აბაშიძეს შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბარს და გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ბათუმში ღირსშესანიშნავ მოვლენასთან, მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით ჩამოვიდა.

მისი თქმით, ის რამდენჯერმე შეხვდა ასლან აბაშიძეს, მაგრამ ამ თემაზე არ უსაუბრია. „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვერ იარსებებს პოლიტიკური დაძაბულობა. რაც შეეხება თამაზ ხარაზის განცხადებას, ამასთან დაკავშირებით უკვე გამოვთქვი საკუთარი აზრი. ამჯერად ველოდები პროკურატურის დასკვნას, რის შემდეგაც კიდევ ერთხელ შევეხმიანები პრესას“ – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ. (გეა)

## გუბერნატორმა ჟურნალისტებისაგან დასვენება გადაწყვიტა

28-29 ოქტომბერს ქუთაისში მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, იოჰან ლინი იმყოფებოდა. იმერეთის გუბერნატორის თქმით, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული წინა პროგრამა ქუთაისმა შეასრულა. ახლა კულტურული და საფინანსო პროგრამების დაფინანსებას ელოდებიან.

თავის მხრივ იოჰან ლინმა განაცხადა, რომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების უკეთ გაცნობის მიზნით განზრახული აქვთ ქართველი ბიზნესმენებისა და ბანკირების გაგზავნა უცხოეთში. შაშიაშვილმა ბატონ ლინს ამავე მიზნით საზღვარგარეთ 15 ჟურნალისტის წაყვანაც თხოვა: ცოტა ხანს ეგენიც დაისვენებენ და მეცო.

იოჰან ლინს საავადმყოფოების შემოვლის შემდეგ ბაგრატი, გელათი და მოწამეთაც დაათვალიერებინეს. ჩვენი ისტორიით და კულტურით აღფრთოვანებულმა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა მოწამეთას ტაძრის მოძღვარს სიმბოლური შესაწირი – ერთი დოლარი გადასცა. თავის მხრივ მამა გაგის ასი დოლარის დამატება მოუნდომებია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი პროგრამების დასაფინანსებლად საჭირო თანხასთან 100 დოლარიც სიმბოლურად გამოიყურება, გადააფიქრებინეს. (გეა)

## მორიგი აფეთქება

30 ოქტომბერს, წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარში ერთი თვის წინ ზუგდიდში მომხდარი ტერორისტული აქტის სცენარი განმეორდა. დაახლოებით 13 სთ-ზე ბაზრის ტერიტორიაზე მომხდარი აფეთქების შედეგად ორი ქალი დაიჭრა.

სანამ ადგილობრივი სამართალდამცავნი აფეთქების მიზეზებს არკვევდნენ, დაბა მეორე აფეთქებამ შეაზანზარა. ამჯერად არავინ დაზიანებულა, მაგრამ მნიშვნელოვნად დაზარალდა ენგურჰესის მთავარი სამმართველოს პირველი სართული, სადაც ნაღმი იყო ჩადებული.

აღნიშნული აქტი ამ რეგიონში მომხდარი უკვე მესამე შემთხვევაა. ტერორისტთა ვინაობის დადგენა ამჯერადაც ვერ მოხერხდა. გამოძიება მიმდინარეობს. (გეა)

## ავარიის შედეგად 25 ადამიანი დაშავდა

25 მგზავრი დაშავდა გუშინ, 15.00 საათზე, ქუთაისი-ორპირის გზის მონაკვეთზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, – იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი ქუთაისიდან.

ქუთაისიდან ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირისაკენ მიმავალი КАВЗ-025 მარკის ავტობუსი გადავიდა სავალი გზიდან, შეეჯახა ფერდობს და ამოტრიალდა.

ავტობუსში მყოფი 25 მგზავრიდან 12 მოთავსებულია ქუთაისის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში, 8 – ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოში და 5 – სხვა საავადმყოფოებში.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა გადატრიალებული ავტობუსის მძღოლმა ანზორ ბრეგაძემ, რომელიც მსუბუქად დაშავდა, მანქანამ ტექნიკური დათვალიერება 2 თვის წინ გაიარა და იგი ტექნიკურად გამართულია, მაგრამ მას მუხრუჭებმა უმტყუნა.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში იმერეთის სამხარეო საგზაო პოლიციის უფროსმა, ზაზა ნერგაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში აუცილებლად უნდა შეიცვალოს ავტობუსების პარკი. მისი აზრით, ვანში 28 ოქტომბერს მომხდარი და დღევანდელი ავარიის გამომწვევი მიზეზი, ალბათ, მაინც ტექნიკური გაუმართაობით უნდა აიხსნას. (პრაიმ-ნიუსი)

# ქართველმა დეპუტატებმა მინისტრებს შეუტიეს

აფხაზურ მხარესთან ურთიერთობების გაგრძელება აუცილებელია, თუმცა ეს გარკვეულ ჩარჩოებში უნდა ხდებოდეს, - თქვა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა, რომელიც გუშინ მიიწვიეს პარლამენტში დეპუტატებმა.

ფრაქცია „სახალხო" წინა სხდომებზეც მოითხოვდა სახელმწიფო მინისტრისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელი პირების პარლამენტში მისვლას მათგან ინფორმაციის მისაღებად აფხაზეთში ვიზიტის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 20 აგვისტოს შედგა. სახელმწიფო მინისტრთან ერთად ამჟამად პარლამენტარების წინაშე წარსდგნენ საგარეო საქმეთა, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ფოსტის და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრები.

ფრაქცია „სახალხოს" წევრმა თენგიზ შარმანაშვილმა დსთ-ის სამიტებს „არაფრისმთქმელი „კასანდრას სერიალები" უწოდა და საგარეო საქმეთა მინისტრისაგან მოითხოვა პასუხი - თუ რამ განაპირობა ამ სტრუქტურის ეგიდით აფხაზეთში სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელების აუცილებლობა.

ირაკლი მენაღარიშვილის თქმით, დსთ-ს გარკვეული ფუნქცია გააჩნია საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, რაც შეეხება დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა კიშინიოვის 23 ოქტომბრის სამიტს, საქართველოს მხარეს ახალი წინადადება არ დაუყენებია და მხოლოდ წინა სამიტების გადაწყვეტილებები შეაფასა, თქვა მენაღარიშვილმა.

ფრაქცია „სახალხომ" კონკრეტული პასუხი მოსთხოვა მინისტრებს - თუ როდის უნდა დაბრუნდნენ აფხაზეთში ლტოლვილები - საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ თუ მანამდის.

ლტოლვილები არ შეიძლება დაბრუნდნენ, თუ მათთვის ხელსაყრელი პირობები არ შეიქმნება, მაგრამ, ნურც ისე დავაყენებთ საკითხს, რომ ლტოლვილები გალის რაიონშიც არ დაბრუნდნენ, ვიდრე სოხუმში არ აღდგება საქართველოს იურისდიქცია - თქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

„სახალხოს" ლიდერს მიაჩნია, რომ აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ უნდა მოხდეს.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით ზუბიტაშვილის თქმით, საქართველოს ელექტროენერგიის წარმოების სექტორში 70 პროცენტი ენგურჰესზე მოდის, ამიტომ, გვინდა თუ არა, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე მათთან უნდა ვაწარმოოთ ურთიერთობა-დიალოგი.

ენგურჰესი 11-ჯერ გამოირთო გაუფრთხილებლად გასული წლის განმავლობაში, რამაც საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მოწოდების თვალსაზრისით მძიმე შედეგი გამოიღო. ჰიდროელექტროსადგური და გამანაწილებელი სექტორი მთლიანად იმ მხარეს არის, სადაც რამდენიმე წლის წინ ქართველ ენერგეტიკოსებს დიდი წვალებით უხდებოდათ შესვლა.

ზუბიტაშვილის თქმით, აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ენერგოობიექტები - ვარდნილი-პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, ტყვარჩელისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების მონახულება შესაძლებელი გახდა აფხაზურ მხარესთან შეხვედრის შემდეგ. (პრაიმ-ნიუსი)

# „მწვანეები" მწვანე დარბაზში

*მწვანეთა ასოციაციის ლიდერმა, გიორგი გაჩეჩილაძემ, რომელსაც, მისივე თქმით, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი პოზიციის დაფიქსირების საშუალებას არ აძლევს, ამ მიზნით ქუთაისის უნივერსიტეტის მწვანე დარბაზი გამოიყენა. მან ყურადღება რამდენიმე ფაქტზე გაამახვილა:*

- საქართველოდან აზერბაიჯანში მიწისქვეშა კომუნიკაციებით 150 მილიარდი ლიტრი წყალი გაედინება, რისთვისაც ფულს არავინ გვიხდის. ჯერ კიდევ შარშან, აზერბაიჯანში ყოფნისას შევარდნაძე აღშფოთებული იყო ამ პრობლემის მოუგვარებლობით. პრობლემა კი ჯერაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.

- თურქეთის ტერიტორიაზე, ჭოროხის აუზში კაშხლების მშენებლობა აჭარაში ზღვის შემოჭრას გამოიწვევს - წელიწადში 150-200 მეტრით. მწვანეთა პოზიციამ, რომ თურქეთი საქართველოს გარემოს ნგრევის ხარჯზე არ უნდა განათდეს, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ჰპოვა. აჭარის ხელმძღვანელობა კი შესაძლოა საქართველოსათვის საზიანო გარიგებაზე წავიდეს.

- ეშერაში მოთავსებული მიწისქვეშა ნაგებობებიდან რუსები აკონტროლებენ ამიერკავკასიას, თურქეთს, ირანს, შავ ზღვას... აქედან მიწისძვრის პროვოცირებაც შეიძლება. 1993 წლის 20 თებერვალს რუსებმა სოხუმი დაბომბეს იმიტომ, რომ ქართველთა პოზიციიდან ერთი ჭურვი შემთხვევით ამ მიწისქვეშა ლაბორატორიაში მოხვდა. ამით ისიც მტკიცდება, რომ ეშერის ლაბორატორიას რუსებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

კიდევ კარგი, რომ გიორგი გაჩეჩილაძეს მწვანე დარბაზში მოუწია გამოსვლამ, თორემ წითელ ან ყვითელ დარბაზში რომ გამოსულიყო? (ბეა)

# ჯარისკაცებს წიწიბურაც მოაკლდათ

30 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის ლიდერმა ლევან ალავიძემ ეროვნულ არმიაში ჯარისკაცთა უფლებების შელახვის ფაქტები მოიყვანა და ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ქართულ არმიაში დახეული ფორმებითა და უხარისხო სუპით უმასპინძლდებიან ჯარში ძალით გაწვეულ ჯარისკაცებს. ძველ არგუმენტაციას კიდევ ორი ახალი ბრალდება დაემატათ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს: - როგორც ალავიძე აცხადებს, ჯარში იარაღით ზეწოლის ქვეშ იმატა მამათმავლობამ და ჯარისკაცებს წიწიბურაც მოაკლდათ.

გამოსავალს ლევან ალავიძე „ნდობის ფოსტაში" ხედავს, რომელსაც სამხედრო ნაწილებში დაკიდებენ და ჯარისკაცებს საკუთარი ჭირვარამის გამოთქმის საშუალება მიეცემათ.

ასეა თუ ისე, ალავიძე თანადგომას პირდება არმიელებს, თუმცა პრობლემის გადაჭრაზე, მისი თქმით, თავდაცვის სამინისტრომ უნდა იზრუნოს. (ბეა)

# თბილისელი ახალგაზრდა მძიმედ დაჭრა „თელასის" მთავარმა ინჟინერმა ბექან ხუციშვილმა

თბილისის მუნიციპალური საწარმო „თელასის" მთავარმა ინჟინერმა ბექან ხუციშვილმა, თავდაცვის მიზნით, მძიმედ დაჭრა თბილისელი, 27 წლის ბესარიონ სამადაშვილი, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში.

ბექან ხუციშვილის საცხოვრებელ სახლს 30 ოქტომბერს, 5.00 საათზე 4 დაუდგენელი ნიღბიანი დაესხა თავს.

ხუციშვილმა რეგისტრირებული სანადირო თოფიდან უცხო პირების მოგერიების მიზნით მოახდინა გასროლა, რის შედეგადაც თავდამსხმელებმა გახსნეს უმიზნო, ინტენსიური ცეცხლი.

სროლის შედეგად, მსუბუქად დაიჭრა ხუციშვილი. მძიმედ დაჭრილი სამადაშვილი მოთავსებულია მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში. სხვა თანამონაწილეები მიიმალნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციისა და ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს თბილისელები, 23 წლის ზვიად პაპიაშვილი და 20 წლის ნიკოლოზ ლატარია.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ორი აკაეს-ის ტიპის ავტომატი, ავტომატის 5 მჭიდი, 73 საბრძოლო ვაზნა.

თბილისის მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში პრაიმ-ნიუსს აცნობეს, რომ სამადაშვილი რეანიმაციაში იმყოფება და ჭრილობა სხვადასხვა არეში აქვს მიყენებული. მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. (პრაიმ-ნიუსი)

# გურიის სამხარეო პროკურატურის 9 თვის ანგარიში

1997 წლის 9 თვეში გურიის მხარეში დამნაშავეობის წინააღმდეგ გაწეულ მუშაობას მიეძღვნა რესპუბლიკის პროკურატურაში გუშინ გამართული პრესკონფერენცია, რომელიც გურიის სამხარეო პროკურატურის წარმომადგენლებმა ჩაატარეს.

როგორც პრესკონფერენციაზე გურიის სამხარეო პროკურორმა ბორის სიხარულიძემ აღნიშნა, აღნიშნულ პერიოდში მხარეში სულ რეგისტრირებულია 342 დანაშაული, რაც 122 ერთეულით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. აქედან გახსნილია 272 დანაშაული. მძიმე დანაშაულთა რიცხვმა 116 ერთეული შეადგინა, რაც 75 ერთეულით ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. გახსნილია 96 დანაშაული.

მისივე ინფორმაციით, 9 თვეში ჩადენილია 10 განზრახ მკვლელობა - გახსნილია 9. ეკონომიკურ სფეროში ჩადენილი 23 დანაშაულიდან, მათ შორის 7 მძიმე დანაშაული - გახსნილია ყველა. მ/წლის 9 თვის განმავლობაში გამოვლენილია ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის, ხმარებისა და გასაღების ფაქტები, რომლებიც სრულად ვერ ასახავენ რეალურ სურათს, რაც ფრიად არასახარბიელოდ გამოიყურება. (იფრინდა)

# „პრობლემები არ არსებობს" — აცხადებენ შევარდნაძე და აბაშიძე

„პრობლემები ცენტრსა და ბათუმს შორის არ არსებობს" - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისი თქმით, იმ წინააღმდეგობებზე, რომლებმაც ბოლო დროს იჩინა თავი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით, საუბარი არ ყოფილა, ვინაიდან იყო ამაზე ბევრად საინტერესო ღონისძიებები, კერძოდ, მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნა.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, პრეზიდენტი არ უნდა ერეოდეს ისეთ საქმეებში, რომელსაც პროკურატურა იძიებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის თქმით, არის ხალხი, რომელთაც აჭარის სინდრომის შექმნა სურთ. ერთადერთი, რასაც აბაშიძის თქმით, აჭარა აკეთებს, ის არის, რომ მხარს უჭერს ქვეყნის პრეზიდენტს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მთელი ყურადღება სახალხო მეურნეობის განვითარებაზეა გადატანილი. პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არის, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკისგან შორს არ ვარ" - დასძინა ასლან აბაშიძემ. (ბეა)



## ისევ უარი?

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი კაცი არ არის, იგი დააფინანსებს მემედ აბაშიძის ძეგლის დადგმას თბილისში, რაც ქართველი ერის მთლიანობის სიმბოლო უნდა გახდეს.

შეკითხვაზე, დაესწრება თუ არა ძეგლის გახსნას აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ მთავარია ძეგლის დადგმა და არა მისი დასწრება. (ბეა)

## ყველაზე ღირსეული აბაშიძეა — ამბობს ასათიანი

საქართველოს ტრადიციონალისტთა ლიდერის აკაკი ასათიანის თქმით, ბათუმსა და ცენტრს შორის არსებული დაძაბულობა არ არის საფუძველს მოკლებული. ეს არ არის სენსაცია და ცილისწამება და მასში სიმართლის გარკვეული წილი დევს. „ამას ადასტურებს იმ ადამიანების ქცევა, ვისაც ეს ეხება, სკანდალში კი ყველაზე ღირსეული პოზიციის შენარჩუნება ასლან აბაშიძემ შეძლო თუნდაც იმით, რომ მან ბოლომდე არ თქვა ბევრი რამ" - აღნიშნა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას აკაკი ასათიანმა.

მისი თქმით, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ხელთ არსებული ინფორმაცია ბევრად უფრო სკანდალურია, ვიდრე ის, რაც ცნობილია საზოგადოებისათვის. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ინფორმაცია არ გახდება საჯარო განხილვის საგანი, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ დაძაბულობის მოხსნისათვის აუცილებელია არსებული სიტუაციის ბოლომდე გარკვევა და გამოძიება.

„ედუარდ შევარდნაძის და ზურაბ ჟვანიას ბათუმში ჩასვლა გარკვეული პერიოდით განმუხტავს სიტუაციას, მაგრამ თუ ყველაფერი არ გაირკვა, ასეთი სახის დაპირისპირება ცენტრსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის დროდადრო აუცილებლად იჩენს თავს" - დასძინა აკაკი ასათიანმა. (ბეა)

## ...მთავარია მანევრები

ყულევში ჩატარებული სამხედრო წვრთნების „აბჯარი 97"-ის შედეგები შეაჯამეს გუშინ გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე, სადაც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, სხვათა შორის, პირველად წარმოთქვა თავისი მოხსენება ქართულად ასეთი ფართო აუდიტორიის წინაშე.

მან დადებითად შეაფასა სწავლების მიმდინარეობა და მისი შედეგები და აღნიშნა, რომ სწავლება არ წარმოადგენდა ვინმეს მიმართ სამხედრო ძალის დემონსტრირებას. უშიშროების საბჭოზე გამოსული ფინანსთა მინისტრი, მიხეილ ჭკუასელი დამსწრეთ ესაუბრა თავდაცვის სამინისტროსთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების შესახებ და აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება ორჯერ გაიზრდება. სამხედრო პროკურორმა კი ეროვნულ ბანკს უსაყვედურა, რადგან ბანკმა ყადაღა დაადო სამინისტროს სახაზინო სამმართველოს, რის შედეგად სამინისტრო ვერ აწარმოებს აუცილებელ ფინანსურ ოპერაციებს, რაზეც იქვე მყოფმა ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ სამინისტროს ეროვნული ბანკის 6 მლნ ლარი ვალი აქვს და არავინ იცის, სად წავიდა ეს თანხა.

სხდომის ბოლოს გამოსულმა საქართველოს პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა სხდომის მუშაობა და აღნიშნა, რომ ჯარში დღეს შექმნილი სიტუაცია გაცილებით უკეთესია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ამის ნათელი დადასტურება იყო ყულევში გამართული სამხედრო სწავლებები. (ბეა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლემიკა

# ახლებურად „რედაქციებული“ სამედიცინო ტერმინები:

## „მობილიზაციებული“, „კანალიზაციებული“, „პროსტიტუციებული“ და მისთანანი

*მეფე გიორგი ეკითხება ფარსმან სპარსს, ახლადაგებული სვეტიცხოვლის შესახებ რას იტყვით და ფარსმანიც უპასუხებს: „ახალი წიგნის გამო არაფერი ითქმის, სანამ ათასჯერ არ გადაწერენ მას სხვანი, არც ახლად აგებული ტაძრის გამო ითქმის ამაზე მეტი, სანამ ათასი წლის მიწისძვრები არ გამოსცდიან ნაგებობას მისას“-ო.*

ახალი წიგნის შეფასების ფარსმანისეული კრიტერიუმი იმდროინდელი ვითარების კვალობაზე მოხდენილად მიგნებული საზომის შთაბეჭდილებას ტოვებს: უვარგის წიგნს, ათასჯერ კი არა, ერთხელაც არავინ გადაწერდა, მაგრამ, თუ წიგნს გადამწერები გამოუჩნდებოდნენ, ეს სწორედ მის ნიშანი იქნებოდა, რომ მის ავტორს მართლაც ფასეული და საჭირო რამ შეუქმნია.

დღევანდელობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წიგნის გამოცემის სიხშირე ან დაბეჭდილ („გადაწერილ“) ეგზემპლართა რაოდენობა (ტირაჟი) სულაც არ არის საკუთრივ წიგნის ავკარგიანობის განმსაზღვრელი და ზოგჯერ ავტორის (ავტორთა) მოხერხებულობასა და მარიფათიანობაზე უფრო მიგვანიშნებს, ვიდრე ნაშრომის ხარისხზე.

გამომცემლობა „კვარმა“ დაბეჭდა ცნობილ მეცნიერ-მედიკოსთა მიერ შედგენილი წიგნი სახელწოდებით – „სამედიცინო ტერმინთა მართლწერისათვის“, 1 (თბილისი, 1996 წ.), რომლის რედაქტორია მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი რამაზ ხეცურიანი.

შემდგენლები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი თ.დეკანოსიძე, პროფესორი დ.კორძაია, დოცენტი ო.თოიძე, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა (აქ აკლია სიტყვა „აკადემიის“ – ლ.ღ.) აკადემიკოსი, პროფესორი ნ.მაისურაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ.ჩხეიძე.

წიგნის ძირითად ნაწილს (გვ. 19-20) წინ უძღვის ანოტაცია, რედაქტორის წინასიტყვაობა, შესავალი, მინაწერი, სამახსოვრო...

ანოტაციაში აღნიშნულია, რომ (სტილი და პუნქტუაცია ყველგან დაცულია – ლ.ღ.) „წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სამედიცინო ტერმინთა, მათგან ახლად ნაწარმოებ ერთცნებიან ფორმათა და კომპოზიტთა მართლწერის დაზუსტებისა და ქართული ენის სიტყვაწარმოების წესების დაცვით გარკვეული ნორმების შემუშავებისათვის დაწყებული საქმიანობის ერთ ნაწილს. მასში თავმოყრილია უცხოურ „ცია“ – სუფიქსზე დაბოლოებული ტერმინებიდან (უნდა იყოს „ტერმინებისგან“ – ლ.ღ.) ქართული სიტყვაწარმოების წესების დაცვით ახლად ნაწარმოები ფორმები. იგი სახელმძღვანელოდ გადაეცემა სამედიცინო გამომცემლობებს, საშუალო და უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებს, სამედიცინო ხარისხის მიმნიჭებელ, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს. ახლო მომავალში გამოიცემა დანარჩენი ნაწილები“.

როგორც ჩანს, ამიერიდან ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა დაწესებულებამ და სასწავლებელმა უნდა იხელმძღვანელოს ამ წიგნით, რომლის გამომცემლები არიან: ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ჩინური მედიცინის ინსტიტუტი.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის 1-18 გვერდებზე დაბეჭდილ ტექსტებში, სამწუხაროდ, გვხვდება უამრავი სხვადასხვა სახის ენობრივი შეცდომა, რომ არაფერი ვთქვათ საკამათო, ზოგჯერ კი აშკარად მიუღებელ, ყოვლად უსაფუძვლო დებულებებზე, რომლებიც უხვადაა მიმობნეული ნაშრომის აღნიშნულ მონაკვეთზე.

სანიმუშოდ გაგაცნობთ შესავლის მინაწერს (გვ. 15) „წიგნში წამოჭრილ პრობლემაზე მუშაობა თბილისის სახელმწიფო (აქ აკლია სიტყვა „სამედიცინო“ – ლ.ღ.) უნივერსიტეტში დაიწყო (თ.დეკანოსიძე, დ.კორძაია, ლ.კინწურაშვილი, ნ.მაისურაძე, ნ.ჩხეიძე)“. როგორც ხედავთ, აქ ჩამოთვლილია წიგნის შემდგენლები დოც.ო.თოიძის გამოკლებით; მის ადგილას კი დასახელებულია პროფესორი ლ.კინწურაშვილი – სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, რომელიც წიგნის მე-2 გვერდზე მოხსენიებულია როგორც რეცენზენტი.

ახლა კვლავ მინაწერს გავყვეთ: „მასში (ე.ი. დაწყებულ მუშაობაში – ლ.ღ.) დიდი ენთუზიაზმით ჩაება ჩინური მედიცინის ინსტიტუტი, რომლის პრეზიდენტმაც, ბატონმა ილია ხითარიშვილმა, ითავა კვლევითი და საგამომცემლო სამუშაოების დაფინანსება. მუშაობაში ჩაერთვნენ ნევროლოგიისა და კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ო.თოიძე და რ.აბაშიძე, ფილოსოფოსები ნ.ხურცილავა და ს.მხეიძე“.

ჩემთვის, როგორც ამ „მინაწერის“ მკითხველისათვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რა მონაწილეობა უნდა მიეღოთ სამედიცინო ტერმინთა მართლწერის საკითხების კვლევაში ფილოსოფოსებს? ბოდიშს ვიხდი ორივე დასახელებული ფილოსოფოსის წინაშე, მაგრამ სად ფილოსოფია და სად – სამედიცინო ტერმინები? კიდევ უფრო „საინტერესოა“ მინაწერის გაგრძელება: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა (დირექტორი გ.კვარაცხელია) საკონსულტაციო სამუშაოს შესრულება დაავალა მეცნიერ-თანამშრომელს ი.ჯიბუტს“. თავი დავანებოთ იმას, რომ სასურველია ასეთ შემთხვევაში დაწესებულების სახელწოდება სრულად იყოს მითითებული. არც იმით დაქცეულა ქვეყანა, თუ ინსტიტუტის დირექტორი ვინმემ არ მოიხსენია როგორც – პროფესორი, თუმცა წიგნის ავტორები სხვაგან პირთა დასახელებისას თითქმის არ ივიწყებენ ტიტულებსა და დამსახურებებს. ცხადია, არც იმის დაზუსტება იქნებოდა ზედმეტი, რომ მეცნიერ-თანამშრომლად მოხსენიებული ქალბატო-

* გაგრძელება მე-5 გვ.

# ცისფერი ალი

## ანუ ბუნებრივ აირს ალტერნატივა არა აქვს!

ვერავის გავაკვირვებ, თუ ვიტყვი, რომ დღევანდელ ინდუსტრიულ ეპოქაში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველთა-საფუძველი ენერგეტიკაა. ვისაც ეს საკითხი მოგვარებული აქვს, თავი ქუდში და გული საგულეში უძევს. საქართველო აგრარული ქვეყანაა და თითქმის მთლიანად საკურორტო ზონაა. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, არაფრით არ იყო გამართლებული თავის დროზე ჩვენთან მრეწველობის გიგანტების შენება, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა პატარა, ედემის ბაღივით ლამაზ ქვეყანას. მაგრამ დღეს ფაქტია, რომ ეს გიგანტები არსებობენ და მათ უჭირავთ ათასობით ჰექტარი უნაყოფიერესი მიწა, სადაც, ალბათ, ვერასოდეს ბალახიც ვერ გაიხარებს. ამ გიგანტებთან გადაჯაჭვულია ასეულათასობით ოჯახის ბედი, რომელთა მარჩენალებიც, ლუმპენპროლეტარებად ქცეულნი, ელოდებიან, როდის ამუშავდება სრული დატვირთვით საავიაციო, საავტომობილო, სატრაქტორო, ჩარხმშენებელი, ელმავალმშენებელი, მეტალურგიული, ქიმიური ქარხნები და კომბინატები. ელოდებიან, როდის იქნება მათ ოჯახებში სითბო და სინათლე, სიუხვე და ბარაქა. არ უჩანს ბოლო ამ მოლოდინს, ამოიწურა უკვე ყველა რესურსი და რეზერვი, გაიყიდა გასაყიდად ვარგისი ყველა საოჯახო ნივთი, სამკაული, საქორწინო ბეჭედი და ოქროს კბილები. გაცვდა ყველა შემორჩენილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, შეირყა უწამლოდ და უჭმოდ მიტოვებული ხალხის ჯანმრთელობა, გამოიფიტა უვიტამინებოდ და უკალორიებოდ დარჩენილი ორგანიზმი.

ისმის კითხვა – იყო ან დღეს არის რაიმე ობიექტური მიზეზი იმისა, რომ ასე გაპარტახებულიყო ქვეყნის ეკონომიკა, ასე გაღატაკებულიყო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი? საქართველო ხომ უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში, უმდიდრესი არა აბსოლუტური მოცულობით, არამედ ერთ კვადრატულ კილომეტრზე და ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით. საქართველოს აქვს თავის სამყოფი თითქმის ყველანაირი წიაღისეული: ნავთობი, საწვავი აირი, ქვანახშირი, მანგანუმი, სპილენძი, დარიშხანი, ოქრო, ტყვია, თუთია, სტიბიუმი, ვერცხლისწყალი, რკინა, ანდეზიტი, ბარიტი, ბეტონიტური თიხები, დიატომიტი, ტალკი, სერპანტინიტი, აქატი, ბაზალტი, გრანიტი, დიორიტი, კირქვები, მარმარილო, ცემენტი, ათასნაირი სამკურნალო და მინერალური წყლები. დაუმატეთ ყოველივე ამას ძვირფასი ჯიშის ხე-ტყე, ჰიდრორესურსების უზარმაზარი მარაგი, უნიკალური კურორტები, თითქმის ყველანაირი სასოფლო კულტურების მოსაყვანი ზონები, მრეწველობის თითქმის ყველანაირი დარგის დიდი და მცირე საწარმოები, მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველანაირი დარგის კვლევითი დაწესებულებანი და თითქმის ყველანაირი სპეციალობის სასწავლო დაწესებულებანი.

მაშ რა• აკლია გარედან კიდევ უამრავი დახმარების და შიგნით უამრავი ქონების პატრონ ჩვენს ხელისუფლებას იმისათვის, რომ ცოტათი მაინც იმაზე უკეთესად აცხოვროს, აშრომოს და ბრძოლის დროს აბრძოლოს თავისი მშობლიური ხალხი, ვიდრე, მაგალითად, ათასდღიანი ბლოკადის პირობებში ცხოვრობდნენ, შრომობდნენ და იბრძოდნენ ლენინგრადელები? – ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო, იტყოდა დიდი გალაკტიონი! და კიდევ იცით, რა? აი, საქართველოს სიყვარული რომ ჰქვია, თავისი ხალხის, ისტორიული ქართველი ერის – თავიანთი და ჩვენი წინაპრების, თავიანთი და ჩვენი შთამომავლობის (და არა მხოლოდ თავიანთი დედმამიშვილების, შვილების და შვილიშვილების) სიყვარული რომ ჰქვია.

დღეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სახელმწიფოს, მთავრობის მხრიდან სახალხო მეურნეობის არცერთი დარგი არ იმართება ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელ დონეზე. მაგალითები? რამდენიც გნებავთ, მაგრამ განვიხილოთ მაინც ყველაფრის თავი და თავი – სათბობენერგეტიკის სფერო, სადაც გამეფებულმა სრულმა ქაოსმა და ანარქიამ ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ცხოვრების ყველა სფეროში და მრავალმილიარდიანი ზარალი მიაყენა ქვეყანას.

სათბობენერგეტიკის სამინისტროს შექმნით თითქოსდა ბოლო უნდა მოღებოდა ტენდენციურობასა და ცალმხრივობას ენერგეტიკის დარგში, როდესაც რატომღაც აქცენტი გადატანილი იყო ძვირადღირებული თხევადი ენერგომატარებლების (ნავთი, დიზელის საწვავი, გათხევადებული აირი, მაზუთი) შემოტანაზე. ხოლო მოსახლეობის მომარაგება სითბური ენერგიით დაიდა დღე-ღამეში 5-6 საათით (ისიც მხოლოდ თბილისში) ძვირადღირებულ, თბოსადგურებში გამომუშავებულ ელექტროენერგიის მიწოდებაზე. თბილსრესის მონაცემებით, 1 კილოვატსაათი ენერგიის მისაღებად ახალ ენერგობლოკებში იხარჯება 0,4 კგ. პირობითი საწვავი, ძველ ბლოკებში – 0,45 კგ. ეს ციფრები ახლოსაა საყოველთაოდ ცნობილ ნორმებთან ამ ტიპის სადგურებისათვის. 1 კგ პირობითი საწვავის თბოუნარიანობა არის 7000 კკალ (29,3 მეგაჯოული), ხოლო 1 კვტ/სთ ელექტროენერგია 860 კკალ ტოლფასია. აქედან გამომდინარე, მარგი ქმედების კოეფიციენტი ახალ ბლოკებში შეადგენს 31%-ს, ხოლო ძველში 27% ე.ი. საშუალოდ, კალორიების 70% ადგილზევე იკარგება. რადგანაც მოსახლეობა იძულებულია გასათბობადაც და სხვა საოჯახო საჭიროებისათვის ელექტროენერგია გამოიყენოს, ელექტროქსელების დატვირთვა ნორმალურზე რამოდენიმეჯერ მეტია. ეს იწვევს ელექტროგადამცემი ხაზების, ტრანსფორმატორების და სხვა მოწყობილობების ზენორმატიულ გადახურებას, რაც კატასტროფულად ზრდის მათში დანაკარგებს. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თბილისამდე იმ ენერგიის 20%-იც (ანუ ერთი მეხუთედიც) ვერ აღწევს, რაც თბილსრესში საწვავის დაწვისას გამოიყოფა. კიდევ უფრო მცირეა ამ პროცედურის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეკონომიური მარგი ქმედების კოეფიციენტი, რადგანაც ენერგეტიკულ დანაკარგებს ემატება კაბელების, ტრანსფორმატორების, ქვესადგურების დაწვა-აფეთქებით მიყენებული ზარალი. ასე რომ, ეკონომიურად ყოვლად გაუმართლებელია ის პროცესი, როცა თბილისის გვერდის ავლით გარდაბანში მიედინება ბუნებრივი აირი, იწვის, გამომუშავდება ელექტროენერგია და მიეწოდება იგი თბილისის მოსახლეობას, როგორც სითბური

გაგრძელება მე-6 გვ.

### „ჯაბა იოსელიანისა და მისი ჯგუფის“ სასამართლო პროცესი შესაძლოა ისნის რაიონის სასამართლოში ჩატარდეს

როგორც „იფრინდა“-სათვის ინფორმირებული წყაროდან გახდა ცნობილი, შესაძლოა „ჯაბა იოსელიანისა და მისი ჯგუფის“ სასამართლო პროცესი ისნის რაიონის სასამართლოში ჩატარდეს.

ამასთან დაკავშირებით მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ „იფრინდა“-ს განუცხადა, რომ ჯერ არ არის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ სად და როდის ჩატარდება სასამართლო პროცესი.

„იფრინდა“-სათვის კი იმავე სარწმუნო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ რამოდენიმე დღის წინ ჯ.ლეონიძე იმყოფებოდა ისნის რაიონის სასამართლოში, სადაც დაათვალიერა დარბაზები და მოითხოვა დიდი დარბაზის გარემონტება. (იფრინდა)

### რეიდები გრძელდება

ბეა-ს კორესპონდენტს ჯანდაცვის სამინისტროს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ალეკო თომაძემ განუცხადა, რომ შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანების საფუძველზე შეიქმნა კომისია, რომლის მიზანია რაიონების მიხედვით გამოავლინოს და აკრძალოს არალიცენზირებულ ჯიხურებში მედიკამენტებით ვაჭრობა.

მათ მიერ ერთობლივად ჩატარებული რეიდების დროს უკვე შედგა გამაფრთხილებელი აქტები, რის საფუძველზეც გამოვლენილ პირებს 1 ნოემბრიდან ეკრძალებათ ულიცენზიოდ მედიკამენტებით ვაჭრობა. თომაძის თქმით, აღნიშნულ დღეს კომისია გატარებული ღონისძიებების შედეგებს გადაამოწმებს. (ბეა)

### კოდორის ხეობას თავისი მიკროჰესები ექნება

ორ კვირაში კოდორის ხეობაში ჩაიტანენ ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში დამზადებულ 10 მიკროჰესს. თითოეული ჰესის სიმძლავრე 10 კილოვატია. აღნიშნული ჰესები დამზადებულია სათბობენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივითა და სახ.კომპანია „საქენერგო“-ს დაფინანსებით. თითოეული ჰესის მინიმალური თანხა 3000 ლარია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დღეს სახ.კომპანია „საქენერგო“-ს გენერალური დირექტორი ვაჟა მეტრეველი ქუთაისს ეწვია, სადაც იგი შეხვდა ქუთაისის მერს ბადრი მელქაძეს. შეხვედრაზე განიხილეს ელექტროენერგიის მომარაგებისა და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საკითხები. (იფრინდა)

### დანიელი მეცნიერი — საქართველოს საპატიო მოქალაქე

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ დანიელ ასტრონომს, მიუნხენის ევროპის სახელმწიფოთა სამხრეთული ობსერვატორიის ერთ-ერთი სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და უფროს მკვლევარს, პროფესორ რიჰარდ ვესტს საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისა და ნაყოფიერი სამეცნიერო საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმიანობისათვის საქართველოს საპატიო მოქალაქის დამადასტურებელი ატრიბუტიკა გადასცა. (იფრინდა)

# გაზეთ „საქართველოს" მთავარ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ!

პირველ ყოვლისა გიდასტურებთ ჩვენს ღრმა პატივისცემას პირადად თქვენს და თქვენი გაზეთის „საქართველოს" მიმართ.

თქვენი გაზეთის 1997 წლის 24-25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ვინმე მურმან მაჩხანელის და ა.შ. ავტორობით წერილი „თელავის ტყეებს თურქები შეესივნენ".

აღნიშნულის შესახებ გვაქვს პატივი, გაცნობოთ შემდეგი:

1997 წლის მაისის თვეში თელავის რაიონის გამგეობაში შემოვიდა თელავის რაიონის სასამართლოს მიერ რეგისტრირებული შ.პ.ს „კავკას-ტრეიდინგის" თხოვნა თელავის რაიონის სატყეო მეურნეობიდან ორასი კუბ.მეტრი წიფლის მორის შეძენის თაობაზე. ჩვენს მიერ აღნიშნული თხოვნის საფუძველზე თელავის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორის სახელზე 1997 წლის 15 მაისის №დ/1 წერილით გაეგზავნა თხოვნა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს 1997 წლის 15 იანვრის №02-8/1 წერილით რაიონის გამგეობის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი 500 კუბ.მეტრი ხე-ტყის ფონდიდან 200 კუბ.მეტრი შ.პ.ს „კავკას-ტრეიდინგისთვის" გამოყოფის შესახებ. შ.პ.ს „კავკას-ტრეიდინგს" იმის შემდეგ, რაც მის მიერ გადახდილი იქნა ე.წ. „ფრანკოტყე-კაფის" ღირებულება, გამოუყო თელავის სატყეო მეურნეობის ფშავლის სატყეოდან 200 კუბ.მეტრი ხე-ტყე (გეგმიური), შ.პ.ს „კავკას-ტრეიდინგმა" დამზადებული ხე-ტყე სატყეო მეურნეობის ტერიტორიიდან გაიტანა თურქული წარმოების მანქანებით, რომლებიც მის მიერ იყო დაქირავებული. აღნიშნული პროცესი განხორციელდა საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის სრულ შესაბამისად.

აღნიშნულის გამო გამგეობის თავმჯდომარესთან შემოვიდა საჩივარი სოფელ ფშავლის მოსახლეობის ერთი ჯგუფიდან, სადაც ითხოვდნენ აღნიშნული ოპერაციის კანონიერების შესწავლას. საჩივრის შესასწავლად შეიქმნა კომისია რვა კაცის შემადგენლობით, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მრჩეველი, დამსახურებული მეტყევე-ინჟინერი ბატონი თ.ჩიხლაძე. კომისიამ შემოწმების შედეგად წარმოადგინა აქტი, შემდეგი დასკვნით: „ტყეკაფი გამოყოფილია ტყის კანონმდებლობის წესების სრული დაცვით, რაზედაც გაფორმებულია შესაბამისი დოკუმენტაცია".

თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული ხელშეკრულება – 6 ათასი კუბ.მეტრი ხე-ტყის მასალის გაჩეხვის შესახებ ბუნებაში არ არსებობს. ასევე, არავითარი 3 ათასი კუბ.მეტრის გაჩეხვის ფაქტი არ მომხდარა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის 1997 წლის 15 იანვრის №02-8/1 წერილით თელავის რაიონის ტყეებში მოვლითი ჭრებით 1997 წელს გამოყოფილია 9,0 ათასი კუბ.მეტრი, მათ შორის 1200 კუბ.მეტრი საქმიანი. აქედან რაიონის პასუხისმგებლობის ქვეშ გამოყოფილია 8300 კუბ.მეტრი, მათ შორის 500 კუბ.მეტრი საქმიანი. აღნიშნული ფონდი მომხმარებლის არარსებობის გამო ამჟამადაც აუთვისებელია.

რაც შეეხება ს.ფშავლის გამგებლის საკითხს, ბატონი ლ.ასამაშვილი პირადად ჩემი რეკომენდაციით დაინიშნა 1996 წლის დეკემბერში აღნიშნულ თანამდებობაზე, მაგრამ იმის გამო, რომ მან ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, რაიონის გამგეობამ ჩემივე წინადადებით გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტყე, ისევე როგორც სხვა ბუნებრივი რესურსები (ნავთობი, ქვანახშირი და სხვა) არის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება და არა რომელიმე სოფლის მოსახლეობის ან პირთა ჯგუფის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო კანონმდებლობის სახით აწესებს ბუნებრივი რესურსების განკარგვის წესსაც, რომლის დარღვევის შემდეგ პასუხს აგებს კონკრეტული დამნაშავე პიროვნება.

კიდევ ერთხელ მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ წერილში ს.ფშავლის ლანდშაფტის აღწერის გარდა ყოველი სტრიქონი და სიტყვა აბსოლუტური სიცრუეა, ისევე, როგორც ე.წ. ავტორთა მიერ თქვენთან დატოვებული კოორდინატები.

პატივისცემით, თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე:
**მირიან ყარაულაშვილი**.

*რედაქტორისაგან: ძვირფასო მკითხველო, როგორც თელავის რაიონის გამგებლის მოადგილის ბ-ნ მირიან ყარაულაშვილის ჩემდამი მომართვიდან ჩანს, გაზეთ „საქართველოში" „სამეულის" მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტად ტენდენციური ყოფილა. არანაირი თურქები თელავის ტყეებს არ შესევიან, არადა, როგორ არ აღვშფოთდებოდით, როცა ასეთი ინფორმაციით გვეახლა ვინმე მურმან მაჩხანელი.*

*სხვათა შორის, ვიდრე გამგებლის მოადგილის სიმართლეში დავრწმუნდებოდი, ვეცადე გადამემოწმებინა, ვინ არის მართალი ამ დავაში.*

*ერთი კორესპონდენტი მაჩხანელის მიერ რედაქციაში დატოვებულ მისამართზე ვაფრინე (ტელეფონი არ მაქვსო), მეორე კი თელავის დეპუტატთან, თელავის სატყეო მეურნეობის დირექტორთან და გამგებლის მოადგილესთან. ამ ორი მხარის ნაამბობიდან რაღაც დასკვნას გამოვიტანდი. ქვემოთ გთავაზობთ გუბაზ მეგრელიძის მიერ მოკვლეულ მასალას, მეორე მაცნე კი ხელცარიელი დაბრუნდა – ეს ჩემი ცოდვით სავსე მაჩხანელი იმ მისამართზე საერთოდ არ ცხოვრობს თურმე.*

*რედაქცია წუხს, რომ მაჩხანელმა შეცდომაში შეგვიყვანა და მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენეთ უდანაშაულო ხალხი.*

*პირადად ჩემთვის სასიამოვნოც კია, რომ მაჩხანელის მიერ მოტანილი ფაქტები არ დადასტურდა. ეს ის შემთხვევაა, როცა გიჯობს გამტყუნდე, ვიდრე გამართლდე, ანუ ტყე უკანონოდ არ იყოს გაჩეხილი.*



# რისთვის ჩხაოდა მაჩხანელი, ანუ თელავის ტყეებს თურქები არ შესევიან

გაზეთ „საქართველოს" 25-26 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „თელავის ტყეებს თურქები შეესივნენ". ამ ერთი შეხედვით მწვავე პუბლიკაციას ხელს სამი პირი აწერს: მურმან მაჩხანელი, ტარიელ ქართველიშვილი და ნიკა შილდელი.

წერილის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციაში აღელვებული პირები მოვიდნენ, ისინი, ვისი მისამართითაც იყო წერილი გამიზნული და ოფიციალური დოკუმენტაცია წარმოგვიდგინეს.

რედაქცია ავტორთა ვინაობით დაინტერესდა. გაირკვა, რომ მურმან მაჩხანელის მიერ დატოვებული მისამართი სწორი არ არის. ვერც დანარჩენთა კვალს მივაკვლიეთ. ამიტომ ეჭვი აღგვეძრა, რომ ავტორთა ზურგს უკან შესაძლოა სხვა დაინტერესებული პირები იდგნენ და რაღაც მიზნები ამოძრავებთ.

თელავის სატყეო მეურნეობის დირექტორის, ბატონ ჯუმბერ რცხილაძის მიერ წარმოდგენილი საბუთებით კი საწინააღმდეგო ვითარება დავინახეთ. ბატონი ჯუმბერის თქმით, თავად ფშაველი მართლაც შესანიშნავი სოფელია და წარმტაცი ადგილმდებარეობა აქვს. სადაო კი ის გახლავთ, რომ სოფლის ტყეს თურქები კი არ შესევიან, არამედ ყველაფერი კანონის ფარგლებში განხორციელდა.

ეს ამბავი კი ასე დაიწყო: თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა მირიან ყარაულაშვილმა, ოფიციალური წერილით (№დ/1, 1997 წ. 15 მაისი) მიმართა თელავის სატყეო მეურნეობას, რათა 1997 წლის რაიონის ფონდიდან თელავშივე რეგისტრირებულ შ.პ.ს. „კავკას-ტრეიდინგისთვის" გამოეყოთ 200 კუბური მეტრი წიფლის სამასალე ხეტ-ტყე. ამის საფუძველზე სატყეო მეურნეობამ ფშავლის სატყეოდან აღნიშნული რაოდენობის ხე-ტყე გამოყო, ხოლო „კავკას-ტრეიდინგმა" სახელმწიფოს შესაბამისი ღირებულება 2847 ლარი გადაუხადა და მასალის გატანაზე ნებართვა მიიღო. მისი გატანა კი ტრანსპორტირების სიიაფის გამო თურქული წარმოების ავტომანქანებით მოხდა. ამაში კი დღევანდელ საბაზრო ეკონომიკურ ვითარებაში დასაძრახის საქციელს ვერ ვხედავთ.

ჩანს, ხე-ტყის თურქული მანქანებით ტრანსპორტირებამ ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს საბაბი მისცა გაევრცელებინა ჭორი, თითქოს ხე-ტყე თურქებს მიეყიდა. ამას თელავის გამგეობის სახელზე მათი კოლექტიური განცხადებაც მოჰყვა. გამგეობამაც ფაქტის ადგილზე შესასწავლად კომისია გამოყო. მის მუშაობაში კი მონაწილეობდა საქართველოს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩეველი, ავტორიტეტული სპეციალისტი, ბატონი თ.ჩიხლაძე. შესწავლით დადგინდა, რომ 200 კუბური ხე-ტყის გაცემა თელავის სატყეო მეურნეობამ ტყის კანონმდებლობის წესების სრული დაცვით განახორციელა. ამიტომ არასწორია და სინამდვილეს არ შეესატყვისება წერილში მოყვანილი 3 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის გაჩეხვა-ტრანსპორტირება. სატყეო მეურნეობას არავითარი ხელშეკრულება არა აქვს დადებული და ხე-ტყის დამზადებაში თურქებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ.

ამას გარდა, გაჩეხა კი არ მოხდა; არამედ გეგმიური ჭრების შედეგად მეურნეობას მასალის გაყიდვის სრული უფლება ჰქონდა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა. ბატონმა ჯ.რცხილაძემ ისიც შემოგვჩივლა, რომ ხე-ტყის დამზადების გეგმას მომხმარებლის არარსებობის გამო ვერ ასრულებს, რაც მეურნეობის ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

ამდენად, ავტორთა მტკიცება, თითქოს თელავის რაიონის გამგებელს, ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის რეაგირება არ მოუხდენია, სინამდვილეს არ შეესაბამება. ასევე ტყუილი აღმოჩნდა რაიონის დეპუტატის ქალბატონი დალი აბაშიძისადმი გამოთქმული საყვედურიც – თითქოს მან ხელები გაასავსავა, ვერ დაგეხმარებითო.

ჩვენ ვესაუბრეთ ქალბატონ დალის, რომელმაც გვითხრა: აგვისტოში ფშაველში მოსახლეობის დასახმარებლად ექიმები ჩავიყვანე. სოფლელები შემომეხვივნენ და საუბრისას აღნიშნული ფაქტიც მითხრეს. ვიდეოფირი კი არავის უხსენებია. პარლამენტის მუშაობის დაწყებისთანავე, 5 სექტემბერს სესიაზე გამოვედი და მოსმენილი ფაქტის შესახებ ვთქვი. ამ გამოსვლის საპასუხოდ, გარემოს დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ შუალედური პასუხით შემატყობინა, რომ „ხე-ტყის კანონიერად მოჭრა განხორციელდა". რაც შეეხება სოფელ ფშავლის გამგებლის განთავისუფლების საკითხს, ბატონმა მირიან ყარაულაშვილმა გვითხრა – ბატონი ლევან ასაბაშვილი სოფლის გამგებლად რაიონის გამგეობამ ჩემი რეკომენდაციით დანიშნა. მუშაობის პერიოდში კი ლ.ასაბაშვილმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა და ჩემივე წინადადებით რაიონის გამგეობამ გაათავისუფლა".

მართლაც, ყველაფერი ნათელი გახდა. წერილის ავტორებმა დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენეს თელავის გამგეობის ხელმძღვანელობასა და სატყეო მეურნეობას. არ შეიძლება ცილისწამებით გული ვატკინოთ იმ ადამიანებს, ვინც ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებს აკეთებენ. თუკი მ.მაჩხანელის, ტ.ქართველიშვილისა და ნ.შილდელის წერილს იურიდიულ კვალიფიკაციას მივცემთ, მაშინ საქმე ცილისწამებასთან გვაქვს და ჩადენილი დანაშაულისათვის მოპასუხე მხარემ შეიძლება სისხლის სამართლის საქმეც აღძრას.

**გუბაზ მეგრელიძე**

## ქრონიკულად ზარალიანი გიგანტი

სახელმწიფო მინისტრის მ.წ. 26 სექტემბრის №146 ბრძანებით შექმნილმა უწყებათაშორისმა კომისიამ იმსჯელა ს/ს „ქიმიური კომბინატი"-ს რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზაციის ღონისძიებათა დაჩქარების შესახებ.

შეგახსენებთ, რომ უკვე განხორციელდა „ქიმკომბინატის" ნატურით გაყოფა, რის შედეგადაც წარმოიშვა კიდევ ორი იურიდიული სუბიექტი – ს/ს „ქიმბოჭკო" და შ.პ.ს „ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგის ქარხანა".

როგორც „იფრინდა"-სათვის ქონების მართვის სამინისტროში გახდა ცნობილი, საწარმოს რესტრუქტურიზაციის მიუხედავად, იგი კვლავაც განეკუთვნება ქრონიკულად ზარალიან გიგანტთა რიცხვს. დარგთაშორისი კომისიის აზრით, ქიმიური კომბინატი და სხვა რამდენიმე მსგავსი დიდი დავალიანებების მქონე მსხვილი საწარმო უნდა გაიყიდოს საინვესტიციო პროგრამების მიხედვით ჩატარებულ კონკურსებზე. აღსანიშნავია, რომ ამ კონკურსებზე გამოტანილი ობიექტების გასაყიდი ფასები გარკვეულწილად სიმბოლური იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით მომზადდება შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომელიც წარედგინება პრეზიდენტს. (იფრინდა)

## ცხადდება კონკურსი ხაშურის მინის ტარის ქარხნის ტექნიკური გადაიარაღებისათვის

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი კომისია აცხადებს კონკურსს ხაშურის მინის ტარის ქარხნის ტექნიკური გადაიარაღებისათვის 1992 წელს შეძენილი გერმანული ტექნოლოგიური ხაზების ნაწილის დასაკომპლექტებლად და მათზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად.



„იფრინდა"-ს კორესპონდენტის ცნობით, აღნიშნული ტექნოლოგიური ხაზები შეძენილია გერმანული ფირმისაგან. დღეისათვის სახელმწიფო საკუთრებაშია გერმანული წარმოების სამი ტექნოლოგიური ხაზის ნაწილი, რომელთაგან ორი ხაზის (თითოეულის) საპროექტო წარმადობაა 0,1 კგ-დან – 0,5 კგ.-მდე წონის ბოთლი შესაბამისად 25-75 მლნ. ცალის რაოდენობით წელიწადში, ხოლო ერთი ხაზისა 0,2 კგ-დან 1,1 კგ.-მდე წონის ბოთლი, 12-30 მლნ. ცალის ოდენობით.

საკონტრაქტო ღირებულებიდან, გერმანული ფირმისათვის დღეისათვის გადახდილია 5,5 მლნ $, რომლის შესაბამისი მოწყობილობა-დანადგარები მიღებულია.

ტექნოლოგიური ხაზების მთლიანად დასაკომპლექტებლად საჭირო მოწყობილობა-დანადგარების შესაძენად და ტრანსპორტირებისათვის მომწოდებლისათვის გადახდილ უნდა იქნეს 2 მლნ. $ და 480 ათასი გერმანული მარკა, რომლის მოსაზიდადაც ეწყობა ეს კონკურსი. (იფრინდა)

# ახლებურად „რედაქციებული“ სამედიცინო ტერმინები:

## „მობილიზაციებული“, „კანალიზაციებული“, „პროსტიტუციებული“ და მისთანანი

მესამე გვერდიდან

ნი ინგა ჯიბუტი არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგეა.

ჩვენი გაოცება გამოიწვია მინაწერის ფრაზამ: „ენათმეცნიერების ინსტიტუტმა საკონსულტაციო სამუშაოს შესრულება დაავალა მეცნიერ-თანამშრომელს ი.ჯიბუტს“. ჩვეულებრივ, ასეთ დროს, თუ ეს აუცილებელია, იწერება, ვისგან მიიღეს წიგნის ავტორებმა კონსულტაციები და არა ის, თუ გ.კვარაცხელიამ რა დაავალა ი.ჯიბუტს.

ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ სარეცენზიო ნაშრომს პროფესიონალი ლინგვისტის (სულ ერთია, იქნება ის გ.კვარაცხელია, ი.ჯიბუტი თუ სხვა ვინმე) კონსულტაციების ნიშანწყალიც არ ატყვია. უფრო მეტიც, მთელი ნაშრომი თვალსაჩინო ნიმუშია სწორედ ანტილინგვისტური აზროვნებისა.

ამიტომაც ცოტა მოულოდნელი იყო ჩემთვის წიგნის რეცენზენტად სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის, პროფესორ ლ.კინწურაშვილის მოხსენიება.

ი.ჯიბუტის კონსულტაციები როგორ წაადგათ წიგნის ავტორებს, არსაიდან ჩანს. იქნებ მას არც შეუსრულებია დირექტორის დავალება? ან იქნებ ავტორებმა არ მიიჩნიეს საჭიროდ მისი რჩევების გათვალისწინება და ამიტომაც მარტო იმის აღნიშვნით შემოიფარგლნენ, თუ ვის დაავალა ინსტიტუტმა კონსულტაციების გაწევა?

დარწმუნებული ვარ, პროფესორ ლ.კინწურაშვილის რეცენზენტობაც გამოგონილია ვიღაცის მიერ და სინამდვილეში მსგავსი რეცენზია არ არსებობს. წარმოუდგენელია, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს ამ წიგნის დაბეჭდვის მიზანშეწონილობა წერილობით (რეცენზიის სახით) დაედასტურებინა. ამგვარ ეჭვს აღრმავებს ისიც, რომ სარეცენზიო წიგნის მე-14 გვერდზე ნახსენებია სინამდვილეში არარსებული „ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო კომიტეტი“.

რა არის ეს? საკითხის უცოდინარობა თუ მისადმი აჩქარებული, ზერელე დამოკიდებულება? როგორ შეიძლება მართლწერის საკითხებზე წიგნის გამოცემის პრეტენზია გქონდეს კაცს და ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვეოდე?

მე, რა თქმა უნდა, ვერც იმას დავიჯერებ, რომ „მუშაობის პროცესში ამ ჯგუფს დიდი დახმარება გაუწია მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ“, მაგრამ მის მაგიერ ვერაფერს მოგახსენებთ. ცხადია, თუ ლაპარაკია მეცნიერულ და მწერლურ (?) დახმარებაზე, თორემ, კაცმა თუ საბეჭდი ქაღალდი გაშოვნინა ან წიგნის კორექტურა წაიკითხა, ესეც დახმარებაა (დაფინანსებისა არ იყოს!), ოღონდაც ამას აღნიშვნის თავისი ფორმა აქვს.

რაც შეეხება წიგნის რედაქტორის პასუხისმგებლობას, ვფიქრობ, საგანგებო განმარტებას არც კი საჭიროებს, იმდენად ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რედაქტორის სათანადო კვალიფიკაციას ამ სახის ნაშრომთა გამოცემის დროს.

ამა თუ იმ დარგის სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავება რომ ენის განვითარებისათვის აუცილებელი საქმიანობაა, ამაზე არავინ დაობს. გამონაკლისი, ცხადია, ამ მხრივ არც სამედიცინო ტერმინოლოგიაა, ოღონდ დასაზუსტებელია, რას ნიშნავს „სამედიცინო ტერმინი?“

თავს ნებას მივცემ მკითხველს შევახსენო, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში დამუშავდა და წიგნების სახით გამოიცა სხვადასხვა დარგის ასამდე ტერმინოლოგიური ლექსიკონი. ხსენებულ ინსტიტუტს ამგვარი სამეცნიერო საქმიანობის ნახევარსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს, რაც შესაბამის გამოცდილებას და სამეცნიერო კვალიფიკაციის მაღალ დონეს გულისხმობს.

ტერმინოლოგიის დამუშავებაში დარგის სპეციალისტების მონაწილეობა აუცილებელია, უფრო მეტიც, მათ გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია მსგავსი სამუშაოს შესრულება, მაგრამ ასევე წარმოუდგენელია ლექსიკოგრაფიული მუშაობა ენათმეცნიერთა მონაწილეობის გარეშე. ამგვარი ურთიერთშემავსებელი თანამშრომლობის დეტალიზება, ვფიქრობ, ამჯერად აუცილებელი არ არის. მთავარი ისაა, რომ ენაში არსებული მასალის (მათ შორის – სპეციალური ტერმინების) სისტემატიზაცია, დამუშავება და სათანადოდ გამართვა ენათმეცნიერული საქმიანობის სფეროა, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობას იღებენ ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლებიც.

ახლა კი სარეცენზიო წიგნის რედაქტორს, ბატონ რამაზ ხეცურიანს მოვუსმინოთ:

„ქართველი ხალხის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ტოტალიტარული სახელმწიფო რეჟიმის დროს ბრძოლა ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის შესანარჩუნებლად და 14 აპრილის დედაენის დღედ გამოცხადება, რის შემდეგაც ყველა ქართველს უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, იზრუნოს ქართული ენის სიწმინდისათვის. ასეთი მიწოდება, რაც არაერთხელ მოგვისმენია მაღალი ტრიბუნიდან, უფლებას აძლევს მეცნიერების ცალკეული დარგების წარმომადგენლებს, იზრუნონ ტერმინთა დაზუსტებისა და უცხო სიტყვების სწორი, მართებული წარმოებისათვის, რა თქმა უნდა, ენათმეცნიერების მესვეურებთან კონსულტაციებითა და შეთანხმებით“.

ბატონი პროფესორი საკითხს არსებითად სწორად აყენებს, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ზოგიერთ უზუსტობას; კერძოდ, მთლად ნათელი არაა, რას გულისხმობს, როცა წერს „ენათმეცნიერების მესვეურებთან კონსულტაციებით და შეთანხმებებითო“. განა ამის წამკითხველს სრული უფლება არა აქვს, ჰკითხოს სარეცენზიო წიგნის რედაქტორს „ენათმეცნიერების მესვეურთაგან“ კერძოდ ვისთან „შეთანხმებით“ (?) და ვისი კონსულტაციების საფუძველზე გამოიცა წიგნი, რომლის რედაქტორობაც მან იკისრა?

მე ამჯერად, არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რამდენი უხერხული შეცდომაა „გაპარული“ რედაქტორის ორგვერდიან წინასიტყვაობაში, რისი თავიდან აცილება არც თუ ისე ძნელი საქმე უნდა ყოფილიყო. მთავარია, ამ შემთხვევაში, რედაქტორის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „თუ ქართველ მედიკოსთა ელიტა ისარგებლებს წინამდებარე და მომდევნო (რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა) სიტყვარებით, მიუხედავად მრავალი წლის განმავლობაში დამკვიდრებული ჩვევისა, შეძლებს საკუთარი ზეპირი და წერითი მეტყველების გასწორებას, შეძლებს საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის წინაშე წარდგეს სწორი ლექსიკით, მაშინ ქართული სამედიცინო მეტყველება გადაურჩება უზუსტობებს, სიტყვათა სემანტიკური მნიშვნელობების და ჟღერადობის დამახინჯებას.

თვით მედიკოსთა მოქმედი ელიტა კი იქნება სწორი ქართული სამედიცინო მეტყველების დამფუძნებელი. დაფუძნებულ ფორმებს კი დააკანონებს ქართული ენათმეცნიერება“.

საინტერესოა, როგორ წარმოგვიდგენია, „მედიკოსთა მოქმედი ელიტა“ რომ „დააფუძნებს“ სწორ ქართულ მეტყველებას, მერე მისი „დაკანონება“ ენათმეცნიერების მიერ?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ექიმები დაგვაყენებენ ფაქტის წინაშე: დააფუძნებენ სწორ ქართულ სამედიცინო მეტყველებას და მერე ამ „დაფუძნებულ“ მეტყველებას, როგორც იტყვიან, დე იურე დააკანონებენ ენათმეცნიერები?

ბატონო რამაზ! მომიტევეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი უნდა გაგიცრუოთ. თქვენ საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერი-მედიკოსი ბრძანდებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ასევე ღრმად ვერ ერკვევით ენათმეცნიერებაში, თუმცაღა მართლწერის საკითხებისადმი მიძღვნილი წიგნის რედაქტორობა კი იტვირთეთ.

საქმე ის გახლავთ, რომ ენათმეცნიერება არის დარგი, რომელიც ენას შეისწავლის და, უკაცრავად მაგრამ, არავის მიერ „დაფუძნებული“ სწორი ქართული მეტყველების „დაკანონება“ მას არ შეუძლია – ენათმეცნიერება საკანონმდებლო ორგანო არ გახლავთ. ამიტომ ჩემი მოკრძალებული თხოვნა უნდა შემოგკადროთ: ნურც თქვენ იჩქარებთ და ასე ხელაღებით ნუ „დააკანონებთ“ თქვენ მიერ რედაქტირებული ანუ – როგორც წიგნის ავტორები გვისწორებენ – თქვენ მიერ „რედაქციებული“ ნაშრომის აშკარად საეჭვო „მიღწევებს“.

ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება იმ სტუდენტების მდგომარეობა, რომელთაც სავალდებულო წესით დააკისრებენ მათივე სახელმოხვეჭილი და ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლების მიერ შედგენილი და უნივერსიტეტის რექტორის მიერ რედაქტირებული „მართლწერის სახელმძღვანელოს“ მიხედვით დაიზეპირონ ისედაც ძნელად დასამახსოვრებელი ტერმინების ხელოვნურად გაუკუღმართებული გრამატიკული ფორმები.

თავად განსაჯეთ, რანაირ კონტექსტში უნდა მოიაზროს კაცმა ისეთი სიტყვები (ტერმინები), როგორიცაა: მო-რეზოლუციო-უ, ა-კონცენტრაციო-უბს, კონფრონტაციო-ობს, ევაკუაციო-ობს, ვენტილაციო-ობს, მო-კულმინაციო-უ...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარეცენზიო წიგნს ეწოდება „სამედიცინო ტერმინთა მართლწერისათვის“. გამოცემულ პირველ ტომს (ნაწილს), რომელსაც, როგორც გვპირდებიან, ამავე „მეთოდით“ დამუშავებული სხვა ნაწილებიც მალე მოჰყვება, აქვს ქვესათაური: „ცია“ – სუფიქსით დაბოლოებულ ტერმინთაგან სიტყვაწარმოება“.

ჯერ ერთი, ქართულ ენაში არ არსებობს – ცია სუფიქსი. ის, რასაც ავტორები სუფიქსს უწოდებენ, ქართული ენის მიერ ნასესხები უცხოური სიტყვის ფუძის შემადგენელი ნაწილია; სხვა საქმეა, რომ ეს დაბოლოება (-ცია) თავისი წარმომავლობით (გამსესხებელ ენაში) სუფიქსური ელემენტია; ქართულმა ისესხა – ცია დაბოლოებიანი სიტყვები და ამ ელემენტის სუფიქსად მონათვლა ქართული ენის დონეზე უკვე შეუძლებელია.

ავტორთა მიერ სამედიცინო ტერმინებად მიჩნეული „აგიტაცია“, „ასიმილაცია“, „ემიგრაცია“, „ირიგაცია“, „სექცია“, „ვარიაცია“ და მისთანანი მოდელის მიხედვით ისეთივე ხმოვანფუძიანი არსებითი სახელებია, როგორიცაა „ცაცია“, „აკაცია“ და სხვა. წიგნში დაბეჭდილ ერთ-ერთ „სამახსოვროს“ (გვ. 17) აწერია: „ცია“-თი დაბოლოებული (აქ სიტყვა „სუფიქს“ აღარ ხმარობენ – ლ.ღ.) უცხო სიტყვებიდან ქართული აფიქსების დართვით სიტყვა წარმოების სანიმუშო მაგალითი“ და სიტყვა „ცირკულაციის“ გამოყენებით შემოთავაზებულია სიტყვის ფორმაცვალებადობის 12 ნიმუში. ტაბულას ახლავს შესაბამისი კონტექსტებიც. ხოლო ამის შემდეგ წიგნში ვეცნობით ე.წ. „სამედიცინო ტერმინთა“ 430-მდე ერთეულს და 430-ჯერ თითეული სიტყვისათვის მეორდება „სამახსოვროში“ წარმოდგენილი ტაბულა, რაც, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ზედმეტი შრომაა. მთელი ამ ნაშრომის ძირითადი ნაწილის დაბეჭდვას დასჭირდებოდა ერთი სამახსოვრო ტაბულა და -ცია-თი დაბოლოებულ ტერმინთა უბრალო სია, რაც სულ 4-5 გვერდს დაიჭერდა, მაგრამ ეს საკითხის ტექნიკური მხარეა.

ახლა კი შინაარსობრივზე მოგახსენებთ. ცნობილია, რომ -ცია-თი დაბოლოებული სიტყვები მხოლოდ სამედიცინო მეტყველებაში არ შემოსულა და ამდენად პრობლემური საკითხის მოგვარება ერთი რომელიმე დარგის ფარგლებში ყოვლად შეუძლებელია.

მკითხველმა რომ ადვილად წარმოიდგინოს, ლექსიკურ ერთეულთა რა სახეობასთან გვაქვს საქმე, მოვიყვან შესაბამის ნიმუშებს და თვალნათლივ დავინახავთ, რომ ის სიტყვები, რომლებსაც წიგნის ავტორები „სამედიცინო ტერმინებს“ უწოდებენ (ყოველ შემთხვევაში, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი) ასევეა გამოყენებული სხვა დარგებშიც: იქნება ეს ფილოლოგია, ისტორიოგრაფია, სოციოლოგია, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია, ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, სამხედრო საქმე, პოლიტიკა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა თუ სხვა.

ამიტომაც ვიკითხე ცოტა ზემოთ, რას ნიშნავს-მეთქი „სამედიცინო ტერმინი“. გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ნამდვილად არ ვიცი, მაგალითად, სიტყვა „პროსტიტუცია“ რატომაა მაინცდამაინც „სამედიცინო ტერმინი“; იქნებ იმიტომ, რომ ამ ხელობის მიმდევარმა შეიძლება ხელი შეუწყოს ვენერიული სენის გავრცელებას?

ესა თუ ის სიტყვა ამა თუ იმ დარგში რომ გამოიყენება, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ამ დარგის (ან მხოლოდ ამ დარგის) ტერმინია, თორემ ასე თუ ვიფიქრებთ, აღმოჩნდება, რომ სამედიცინო ტერმინებია: კაცი, ქალი, ბავშვი, დედა, მამა, რძე, ექიმი, საწოლი, წამალი, მაკრატელი, ნემსი, ხალათი, საპონი და ა.შ. არადა, ჩვენი ავტორები დაბეჯითებით გვიმტკიცებენ და, ცხადია, რედაქტორიც ადასტურებს, რომ სამედიცინო ტერმინებია: აგიტაცია, აგლუტინაცია, აკლიმატიზაცია, აკუმულაცია, არტიკულაცია, გალვანიზაცია, დემარკაცია, დისლოკაცია, ევაკუაცია, ემიგრაცია, ემოცია, ვარიაცია, ვეგეტაცია, ვენტილაცია, ვიბრაცია, იზოლაცია, ინერცია, ინსპექცია, ირიგაცია, კანალიზაცია, კონფრონტაცია, კოორდინაცია, ლოკალიზაცია, მანიფესტაცია, მიგრაცია, პოზიცია, რეზოლუცია, რეკომენდაცია, სენსაცია და ა.შ.

ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ ჩამოთვლილი და სხვა ანალოგიური აგებულების სიტყვები არ შეიძლება ჩაითვალოს ოდენ სამედიცინო ტერმინებად. ენაში მათი გამოყენება გრამატიკული (მორფოლოგიური) თვალსაზრისით ერთსა და იმავე წესებს ექვემდებარება და ეს წესები არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ცალკეული სიტყვა რომელ დარგში იხმარება.

სარეცენზიო წიგნის ავტორები იმთავითვე სცილდებიან მედიცინის სფეროს და იჭრებიან (უნებურად ან, შესაძლოა, შეგნებულადაც) გრამატიკის სფეროში, როდესაც გვირჩევენ, რომ ქართულში ავკრძალოთ – ირ – ელემენტის შემცველ სიტყვებში ამ უცხოური წარმომავლობის ფორმანტის გამოყენება.

იქვე ცნობილ ავტორიტეტებსაც იშველიებენ (არნ.ჩიქობავა, ა.შანიძე): „სწორედ ამის შესახებ აღნიშნავდა არნ.ჩიქობავა, რომ ენის კვდომა მაშინ იწყება, როდესაც იგი აფიქსებს ისესხებსო. სამწუხაროდ, სხვა ქართველმა ენათმეცნიერებმა „ყურად არ იღეს“ (აქ ბრჭყალები საჭირო არაა – ლ.ღ.) ამ დიდი ქართველი მეცნიერების (არნ.ჩიქობავას გულისხმობენ, ე.ი. ერთ მეცნიერზეა საუბარი, – ლ.ღ.) გაფრთხილება და სხვადასხვა ლექსიკონშიც აღმოჩნდა „ირ“-ით წარმოებული მრავალი ყოფითი სიტყვა“.

-ირ-, -ცია და სხვა უცხოური ფორმანტები ქართულს არ უსესხებია როგორც აფიქსები. აკი მოგახსენეთ, ამ ელემენტებზე დაბოლოებული ფუძეები ისესხა მთლიანად, ამდენად არნ.ჩიქობავასა და „სხვა ენათმეცნიერთა“ შორის ამ მხრივ დაპირისპირების „აღმომჩენი“ ამაოდ ირჯება. ეგეც რომ არა, თვით ბატონი არნოლდის მიერ რედაქტირებულ ლექსიკონებშია შეტანილი -ირ- დაბოლოებიანი ფორმები; იქნებ სხვა ცნობილ ენათმეცნიერთა ხელიდან გამოსულ ლექსიკონებში ჩაგვეხედა? (ვ.თოფურია, ივ.გიგინეიშვილი, ქ.ლომთათიძე, მ.ჭაბაშვილი, თ.შარაშენიძე, ბ.ფოჩხუა...), მაგრამ ამას ბევრი დრო დასჭირდებოდა, ექიმებს კი, აბა, სად ექნებოდათ ამდენი დრო ენათმეცნიერებისათვის დასახარჯი, თავიანთი საქმეც თავზე საყრელად აქვთ.

სხვათა შორის, ენათმეცნიერები იშვიათად ერევიან ექიმთა საქმეებში და ისიც მეტწილად უსახსრობით გამოწვეული იძულებითი თვითმკურნალობის სახით.

მოგეხსენებათ, თვითმოქმედებას დიდი გასავალი აქვს ფოლკლორში, მაგრამ მეცნიერებაში – ნურას უკაცრავად! აქ სათანადო ერუდიცია და პროფესიონალიზმია საჭირო; მარტოოდენ სურვილი საკმარისი არ არის.

პატივცემული ავტორები გვირჩევენ, რომ ამიერიდან მათ მიერ დადგენილი „მართებული“ ფორმები გამოვიყენოთ. ასეთებია: ვარიაციებული, ვეგეტაციებული, ვენტილაციებული, ინსპექციებული, ინტერვენციებული, ირიგაციებული, კანალიზაციებული, კონცეფციებული, ნეიტრალიზაციებული, ოპერაციებული, რეაბილიტაციებული, რეზოლუციებული, ჰოსპიტალიზაციებული და ა.შ.

წიგნის ავტორთა მიერ არასწორ ფორმებადაა მიჩნეული: ემიგრირება; რეგულირება, ამპუტირება, დისლოცირება და ა.შ.

სამწუხაროდ, სარეცენზიო ნაშრომში არ ჩანს, თუ რას უპირებენ -ირ- ელემენტის შემცველ უცხოურ სიტყვებს, რომლებიც ასევე მრავლადაა შემოსული ქართულში და როგორ წარმოუდგენიათ მათი „გასწორება“. ასეთებია: ფრაზირება, რეაგირება, ვიზირება, რეცენზირება, დოზირება, დუბლირება, ნიველირება, ბალზამირება, ფორმირება, ინსცენირება, კომბინირება, რეგისტრირება, რატიფიცირება, ინფიცირება და ა.შ.

რაც შეეხება ნასესხებ სიტყვათა უცხოურ ჟღერადობას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში -ირ- ელემენტის შემცველი სიტყვები ჟღერადობით (გარ-

გაგრძელება მე-6 გვ.

## რუსეთის ქმედებები ხელს უწყობს საბრძოლო მოქმედებების განახლებას

ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო პარტიის პოლიტსაბჭომ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, მოქმედებს. რუსეთი, რომელიც ერთი მხრივ შუამავლად გამოდის საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში, მეორე მხრივ უკვე რამდენიმე წელია აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ და ინფორმაციულ ბლოკადას ატარებს, ცდილობს რა ქართველ ოკუპანტებთან ომში მოპოვებული დამოუკიდებლობა ეკონომიკურად მოახრჩოს. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს რუსეთის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება საქართველოსთვის შავი ზღვის ფლოტის ნაწილის გადაცემის შესახებ, რითაც ხელს უწყობს საქართველოს რევანშისტულ მისწრაფებებს და ქმნის ისეთ სიტუაციას, როგორიც იყო 1992 წელს, ომის დაწყების წინ.

სახალხო პარტიის პოლიტსაბჭო აცხადებს, რომ რუსეთის ხელისუფლების მსგავსი ქმედებები მიმართულია აფხაზეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლისაკენ და ხელს უწყობს მათ შორის საბრძოლო მოქმედებების განახლებას“. (ბეა)

# ახლებურად „რედაქტიებული“ სამედიცინო ტერმინები:

## „მობილიზაციებული“, „კანალიზაციებული“, „პროსტიტუციებული“ და მისთანანი

მეხუთე გვერდიდან

ეგნულად) თითქმის არ განსხვავდებიან სხვა ქართული სიტყვებისაგან და ე.წ. „უცხოური ჟღერადობის“ მომიზეზება უსაფუძვლოა. რომ შევადაროთ, ერთის მხრივ, რეაგირება, დუბლირება, ნიველირება, ლავირება, რეკლამირება, და, მეორეს მხრივ, მონადირება, გაძვირება, დაპირება, შემცირება, დაკავშირება, მათ მსგავს „ჟღერადობაში“ ეჭვის შეტანა გაჭირდება.

არსებითად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ მედიკოსთა მიერ წამოჭრილი საკითხები დიდი ხნის წინაა შესწავლილი, სათითაოდ გაანალიზებული, გარკვეული და გადაწყვეტილი. გამოქვეყნებულია შესაბამისი სპეციალური ლიტერატურა, მიღებული და დამკვიდრებული ფორმები შეტანილია ქართული ენის განმარტებით, ორთოგრაფიულ, ინვერსიულ, უცხო სიტყვათა, თარგმნით, ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში, რომელთა შემდგენლები და ავტორები გახლავთ ცნობილი ლინგვისტები და ცალკეული დარგების თვალსაჩინო წარმომადგენლები. კარგი იქნებოდა, „მართლწერის სახელმძღვანელოს“ შედგენისას ესეც გაგვეთვალისწინებინა და მაშინ ბორბლის ახლიდან გამოგონება, ვგონებ, საჭირო აღარ გახდებოდა.

„ჩვენი შეცდომა ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ. დარგების წარმომადგენლებმა უნდა გადავარჩინოთ ენა, – წერენ წიგნის შესავალში მისი ავტორები, – თუ ენათმეცნიერებმა შეძლეს უცხო ყოფითი სიტყვების ქართულად ამეტყველება და აჟღერება, დიდი მიღწევა იქნება. რაც შეეხება მეცნიერებასა და ტექნიკაში შემოტანილი უცხო სიტყვების ქართულად სწორად წარმოებას – ეს დარგების წარმომადგენელთა საზრუნავია“.

ენათმეცნიერთა სახელით მედიკოსთა მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის ჩვენი სამოქმედო არეალის ასე მკაფიოდ განსაზღვრისათვის („ყოფითი სიტყვების ქართულად ამეტყველება და აჟღერება“), ხოლო „უცხო სიტყვების ქართულად სწორად წარმოება“ – ეს ექიმების, ინჟინრების, ფიზიკოსების, აგრონომების, გეოლოგების, მეზღვაურების და მელიორატორების საქმე ყოფილა (ბოდიში, ყველა დარგი რომ ვერ ჩამოვთვალე).

ანალოგიურ წიგნებს სხვა „მოყვარული ლინგვისტებიც“ წერენ და ზოგჯერ აქვეყნებენ კიდეც. ამდენად, „სამედიცინო ტერმინთა მართლწერისათვის“ ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისი არ არის, არც მისი ტირაჟია იმდენად შთამბეჭდავი, რომ ამ ფაქტისთვის ამდენი ყურადღება დაგვეთმო, მაგრამ, სხვისა არ ვიცი, და მე კი შემაშფოთა წიგნის ანოტაციაში აღნიშნულმა ფრაზამ, რომ თურმე მედიკოსთა მომავალი თაობა ამ წიგნით უნდა გაიზარდოს – ეს კი იმდენად სერიოზული განაცხადია, რომ უთუოდ ღირდა წიგნით აღძრული შთაბეჭდილების გაზიარება მკითხველთა ფართო წრისათვის.

ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული ენის მოვლა-პატრონობა სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავთა რანგშია აყვანილი: სახელმწიფო ენის მუდმივ სახელმწიფო კომისიას სათავეში უდგას ქვეყნის პრეზიდენტი, გვაქვს საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე არაერთი ენათმეცნიერული კვლევის ცენტრი, და მათ შორის განსაკუთრებულად გამორჩეული – არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. მიმდინარე წლის დასაწყისში შეიქმნა ენის სახელმწიფო პალატა, გვყავს მაღალკვალიფიციურ ლინგვისტთა მთელი არმია და ასეთ ვითარებაში საეჭვო პრინციპზე აგებული სახელმძღვანელოს შეტანა სასწავლო დაწესებულებებში სათანადო სერიოზული აპრობაციის გარეშე ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია.

**ლევან ღვინჯილია**

# ცისფერი ალი

## ანუ ბუნებრივ აირს ალტერნატივა არა აქვს!

მესამე გვერდიდან

ენერგიის წყარო. სულ ცოტა 80% იმ კალორიებისა, რაც ბუნებრივ აირს შეუძლია მოგვცეს, იკარგება უაზროდ. მხოლოდ მდიდარ და ძლიერ ქვეყნებს შეუძლიათ მისცენ თავს ასეთი ფუფუნების უფლება. უზარმაზარი შეცდომაა, დანაშაულიაო, რომ არ ვთქვათ, როდესაც მოსახლეობას იძულებულს ხდიან ელექტროენერგია, საერთოდ, და მით უმეტეს ის ძვირადღირებული ელექტროენერგია, რომელიც თბოსადგურებში მიიღება, გასათბობად გამოიყენოს. სათბობის ყველაზე ეკონომიური და ეკოლოგიური სახე, განსაკუთრებით ქალაქის პირობებში, იყო და რჩება ბუნებრივი აირი. ხოლო ელექტრობას თავისი უამრავი მომხმარებელი ჰყავს იმ სფეროებში, სადაც იგი მართლაც შეუცვლელია.

ვინაიდან ყველას შესაძლოა ხელთ არ მიუწვდებოდეს სხვადასხვა ფიზიკურ ცნობარზე, მოვიყვან ზოგიერთ მონაცემებს: ერთი კუბური მეტრი იმ ბუნებრივი აირის, რომელიც დღეს საქართველოში შემოდის, წვის სითბო შეადგენს 8000 კილოკალორიას, ხოლო მოსახლეობაზე მისაყიდი კომერციული ფასია 10,8 თეთრი; ერთი ლიტრი ნავთის თბოუნარიანობაა 7800 კკალ, კომერციული ფასი 45-50 თ; 1 კგ პროპან-ბუთანი (გათხევადებული აირი) გვაძლევს 11000 კკალ, ფასი 80-90 თ. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეულ კალორიას ყველაზე იაფად ვყიდულობთ ბუნებრივი აირით, ოთხ-ოთხნახევარჯერ ძვირი გვიჯდება იგივე კალორიები ნავთით ან ბენზინით, ხოლო გათხევადებული აირით (ე.წ. ბალონის გაზით) კი ხუთი-ხუთნახევარჯერ ძვირი.

აქედან ჩანს, რომ ბუნებრივ აირს, განსაკუთრებით საოჯახო მეურნეობაში, შემცვლელი არ აქვს. მით უმეტეს, ყველას კარგად მოეხსენება მისი გამოყენების მოხერხებულობა, სისუფთავე და ა.შ. და კიდევ მითუმეტეს, რომ საქართველოში უკვე შექმნილია (მაგრამ, სამწუხაროდ, კატასტროფული ტემპებით პარტახდება) ნახევარ მილიონ დოლარად ღირებული უზარმაზარი ინფრასტრუქტურა აირის შემოტანისათვის, ტრანსპორტირებისათვის და თითოეულ მომხმარებელთან მიტანისათვის. არგამოყენება ყოველივე ამისა, არმოვლა და გასანადგურებლად განწირვა ეროვნული მასშტაბის დანაშაულია. არადა, როგორც ჩანს, ყველაფერი აქეთ მიდის.

საქართველოში რეგისტრირებული იყო 1330 ათასი ოჯახი, რომელიც საწვავ აირს მოიხმარდა, მათ შორის 560 ათასი ბუნებრივ აირს, ხოლო 770 ათასი – გათხევადებულს. ყველა ამ ოჯახში, რა თქმა უნდა, დამონტაჟებული იყო გაზქურები, რომლის გარდა კიდევ მოიხმარებოდა 83 ათასი წყლის გამაცხელებელი და 120 ათასი ბინების გამათბობელი აპარატი. ხედავთ, რა სიმდიდრე გვქონია? მაგრამ ეს კიდევ რაა! ბუნებრივი აირით გაზიფიცირებულია 720 სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმო, 8000-ზე მეტი საქვაბე და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. ბუნებრივი აირი შეყვანილია 46 ქალაქსა და 230 სოფელში, რისთვისაც აშენებულია 10 ათას კმ-ზე მეტი სიგრძის გაზსადენი, აქედან 2000 კმ მაგისტრალური, ანუ მაღალი წნევის (40-50 ატმოსფერო და მეტი) გაზსადენია. ამას გარდა გვაქვს ათასობით გაზის გამანაწილებელი სადგურები, პუნქტი, ელექტროქიმიური დაცვის სადგური, სხვა საინჟინრო ნაგებობა.

შედარებისთვის აღვნიშნავ, რომ ბუნებრივი აირით ისეთი მდიდარი ქვეყანა, როგორც ირანია, უკანასკნელ წლებამდე, შიდა ქსელების უქონლობის გამო, თვითონ თავისსავე გაზს ვერ მოიხმარდა.

ყველაფერ ამას მოვლა უნდოდა და უნდა, ყოველდღიური და განუწყვეტელი ზრუნვა სჭირდებოდა და სჭირდება. წინა წლებში, როდესაც გაზის მეურნეობა სრული დატვირთვით მუშაობდა, ყოველწლიურად საჭირო იყო ამორტიზებული 40-50 კმ მაგისტრალური გაზსადენისა და ამდენივე შიგა გამანაწილებელი ქსელის შეცვლა-აღდგენა, საინჟინრო ნაგებობათა აღდგენა-სარემონტო სამუშაოები, საერთო ექვივალენტური თანხით 20-25 მილიონი ამერიკული დოლარი. ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ეს სამუშაოები თანხების, მასალა-მოწყობილობათა არარსებობის გამო პრაქტიკულად არ ტარდება, რაც იწვევს საათივით აწყობილი სისტემის მოშლასა და ნგრევას. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება და შედეგებიც ამას ადასტურებს, რომ ყოველივე ეს ხდება გარკვეული სტრუქტურებისა და პირთა ჯგუფების დაინტერესებით – არ არის აირი, საჭირო ხდება ნავთობპროდუქტები.

რაც შეეხება განაწილებას და მიწოდებას იმ მიზერული რაოდენობით შემოტანილი აირისა, გინდაც ელექტროენერგიისა, ძალაშია რაიკინისეული ცნობილი პრინციპი „საჭირო დეფიციტისა“ – რომ აკეთო ის, რაც გინდა და როგორც გინდა, უნდა შექმნა დეფიციტი, რათა ყველა შენ გეხვეწებოდეს, იყო საჭირო კაცი. ამ დროს კი შენ ისეთი პირობების წამოყენება შეგიძლია, რომლებიც ნორმალურ სიტუაციაში შეუძლებელი და დაუშვებელია (მაგ.არავითარი პასუხისმგებლობა მიწოდების სტაბილურობაზე, ხარისხზე, უსაფრთხოებაზე; ფასების ცვლა სურვილის მიხედვით და სხვა).

მოხდა დაპირისპირება გაზის მეურნეობასა და ენერგეტიკას შორის. არა უშუალოდ ამ დარგებში მომუშავეთა შორის, არამედ უფრო სხვაგან... კვალიფიურ და საქმეში ჩახედულ ენერგეტიკოსებს კარგად ესმით, რომ ელექტროენერგეტიკა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლის (და აკი ვერც შეცვალა) ბუნებრივ აირს, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამის სიმძლავრეები (არც დენის წყარო, არც გაყვანილობა, არც ძალური ტრანსფორმატორები და სხვა მოწყობილობა) დღეს არ გაგვაჩნია.

1991 წლიდან, ცნობილი მიზეზების გამო, დაიწყო დარგის დაქვეითება. მკვეთრად შემცირდა როგორც ბუნებრივი, ასევე გათხევადებული აირის მიწოდება. მაგრამ განსაკუთრებული უარყოფითი როლი დარგის მიმართ ქვეყნის შიგნით გატარებულმა პოლიტიკამ შეასრულა. „საქგაზი“ და მისი სახით გაზის მეურნეობები აიძულეს, რომ პრაქტიკულად უფასოდ ეძლიათ აირი ენერგეტიკოსებისათვის. შედეგად 1995 წლის 1 მაისისათვის „საქენერგოს“ დავალიანებამ მოხმარებულ აირზე შეადგინა დაახლოებით 86 მილიონი დოლარი (თანხა გაცილებით მეტი იყო, მაგრამ „გაიფანტა“ ყბადაღებულ ჩათვლებში). გარკვეულმა ძალებმა მოახერხეს, რომ სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 13 ივნისის №241 ბრძანებულებით ზემოაღნიშნული დავალიანების გადახდა გადავადდა 2 წლით მიმდინარე წლის 1 მაისამდე. ამ პერიოდში „საქენერგომ“ კიდევ დაუმატა დავალიანებას 4,3 მლნ ლარი, შემდეგ კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: პრეზიდენტის ბრძანებულებით ეს დავალიანება „საქენერგოს“ ჩამოაწერეს, ე.ი. ფაქტიურად აჩუქეს თითქმის 90 მლნ დოლარი. ამ თანხაში შედიოდა ის 21-22 მლნ დოლარი, რაც „საქგაზის“ სისტემის საექსპლუატაციო სამსახურებს უნდა მიეღოთ სისტემის უსაფრთხო და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის და მომსახურე პერსონალის ხელფასებისათვის. ეს იყო ის ბოლო დარტყმა, რამაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო მთელი სისტემა. მანამდე კი იყო დარტყმების მთელი სერია. სამინისტრო, სპეციალისტების აზრით, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ „საქგაზი“ გაკოტრებულიყო, ხოლო შემდეგ გაეტანა წინადადება მისი გაუქმების შესახებ. წინასწარ კი „საქგაზიდან“ გამოიყვანა „საქთხევადგაზი“, რომლის აქციონირებაც დაწყებული იყო, და უშუალოდ თვითონ დაიმორჩილა. ამრიგად შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ადგილებზე უნდა იყოს ორ-ორი საექსპლუატაციო სამსახური, მთელი თავიანთი სტრუქტურებით.

სამინისტრომ, ფაქტიურად, ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა ქვეყნის გაზმომარაგების სისტემის შენარჩუნებისა და ფუნქციონირებისათვის, გადაულოცა რა გაზის მეურნეობები მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, რომელთაც არ გააჩნიათ არც ტექნიკური, არც ტექნოლოგიური, არც ინტელექტუალური და არც ფინანსურ-ეკონომიკური საშუალებები ამ საქმისათვის თავის გასართმევად. ყველაფერი გაკეთდა „ქვეყნის გაზმომარაგების მკვეთრად გაუმჯობესების“ მოტივით. მდგომარეობა კი გაუმჯობესების ნაცვლად საგანგაშოა – სამინისტროსათვის ელექტროენერგეტიკის გარდა არც ერთი დარგი არ არსებობს (აქაც ხომ ყველაფერი გამართულია!). დღეს გაზის მეურნეობები დაქსაქსულია, არავინ არის მათი „პატრონი“, რომელიც იზრუნებდა და დაიცავდა მათ ინტერესებს, ან საერთოდ დაიცავდა ბუნებრივი აირის მომხმარებელთა ინტერესებს. შექმნილ პირობებში ისეთი მონოპოლისტი, როგორადაც ჩამოყალიბდა „საქტრანსგაზი“, კარნახობს თავის კაბალურ პირობებს მომხმარებელს, მას ფაქტიურად არ ჰყავს ოპონენტი. სამინისტროს კი ეს არ ადარდებს – იგი ხომ თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან. ჩვენი აზრით (რასაც იზიარებენ დარგის სპეციალისტებიც), „საქტრანსგაზი“ არ შეიძლება იყოს მესაკუთრე იმ „ტვირთისა“, რომლის ტრანსპორტირებასაც იგი ეწევა. მისი ფუნქცია უნდა იყოს მაგისტრალური გაზსადენის ერთ ბოლოში მიიღოს გარკვეული რაოდენობის აირი და უკლებლივ ჩააბაროს იგი მეორე ბოლოში მომხმარებელს. ამ ოპერაციისათვის მან უნდა მიიღოს შესაბამისი ფულადი ანაზღაურება და არა „ნატურის“ სახით, რაც ყოვლად მანკიერი და მიუღებელი პრაქტიკაა და ქმნის ათასნაირი დარღვევებისა და მაქინაციების შესაძლებლობებს. ნებისმიერ მომხმარებელს უნდა მიეცეს საშუალება, სადაც შეუძლია და როგორც შეუძლია შეიძინოს აირი. იგი გარანტირებული უნდა იყოს, რომ მის საქონელს ვინმე არ დაიტაცებს გზაში. ხოლო თუ მაინცდამაინც ასეთი რამ მოხდება, ამაზე პასუხი უნდა აგოს, ანუ ზარალი აანაზღაუროს „საქტრანსგაზმა“.

რაღაც ფორმით უნდა აღდგეს ქვეყნის გაზმომარაგების საექსპლუატაციო სისტემების ხელმძღვანელი და მაკოორდინებელი ორგანო, მხოლოდ აუცილებელი, მინიმალური აპარატით, რომელიც იარსებებს რაიონული გაზის მეურნეობების ანარიცხების ხარჯზე. მასვე უნდა დაუბრუნდეს გაერთიანება „საქთხევადგაზი“, როგორც გაზმომარაგებისა და გაზის მეურნეობის განუყოფელი და ერთიანი საექსპლუატაციო ერთეული. რაც შეეხება გათხევადებული აირის შემსყიდველ და შემომტან ორგანიზაციებს, ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი, ვისაც კი ამის შესაძლებლობა და სურვილი ექნება (ხელშეკრულების საფუძველზე), მაგრამ საექსპლუატაციო საქმიანობა, მომხმარებელთან ურთიერთობა უნდა იყოს ერთიანი სტრუქტურის ხელში, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ყველა მოწყობილობის, დანადგარის, აგრეგატის წესრიგში ყოფნაზე, აირბალონების განახლება-რემონტზე, შევსებაზე და ა.შ. როგორც ბაზებში, ისე უშუალოდ მომხმარებელთან.

პირველ ეტაპზე აუცილებელი გახდება სახელმწიფოს მხარდაჭერა: სახელმწიფო გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტი; უნდა გადაიხედოს ბრძანებულება „საქენერგოს“ დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით, რათა დაბრუნებულ იქნას ხსენებული 21-22 მილიონი დოლარი საექსპლუატაციო ხარჯებისათვის (დასაწყისისათვის ნახევარი მაინც). შექმნილ მაკოორდინებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს საბრუნავი სახსრები წინასწარ სამი თვის სავარაუდო გაზის რაოდენობისა, რათა სტაბილური გაზმომარაგების პირობები შეიქმნას და მომხმარებელი დარწმუნდეს, რომ აირი ერთი-ორი დღით კი არ მიეწოდება, როგორც ახლა, არამედ სისტემატურად და გარანტირებულად. და რაც მთავარია, საჭირო იქნება სამთავრობო სტრუქტურების და პარლამენტის აქტიური და ღია მხარდაჭერა-გაზმომარაგება უნდა გამოცხადდეს სტრატეგიულ დარგად, რათა „ვილაცეებმა“ ველარ შესძლონ მისი საქმიანობის ბლოკირება, რასაც უკვე ადგილი ჰქონდა და რამაც შეგვიქმნა ეს ვითარება.

მოსახლეობის მდგომარეობის გათვალისწინებით, სპეციალისტების, აზრით, შესაძლებელი იქნება მათთვის შეღავათიანი პირობებით ბუნებრივი აირის მიწოდება. მთელი გაზიფიცირებული მოსახლეობისთვის წლის განმავლობაში საკმარისია დაახლოებით 1 მილიარდი კუბ.მეტრი აირი. ქსელების მდგომარეობის გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე მოხერხდება მხოლოდ დიდი ქალაქებისათვის აირის მიწოდება 650-700 მლნ კუბ.მეტრი მოცულობით, რაც შეიძლება შევიძინოთ 35-40 მილიონ დოლარად. თუ დავაწესებთ შეღავათიან 40%-იან გადასახადს, თითოეული ოჯახის (აბონენტის) საშუალო გადასახადი 4-5 ლარი იქნება თვეში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დიდ ქალაქებში ბუნებრივი აირის მიუწოდებლობით სახელმწიფომ და ხალხმა პირდაპირი ზარალი განიცადა ასეულობით მილიონი დოლარის მოცულობით, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს „ქვეყნის გაზმომარაგების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის“.

და კიდევ ერთი საკითხი – მრიცხველების საკითხი. იგი აუცილებლად უნდა გადაწყდეს ქვეყნის შიგნით. მე ვგულისხმობ მრიცხველების დამზადებას. ვფიქრობ, პარლამენტმა აუცილებლად კონტროლზე უნდა აიყვანოს ყველანაირი სახელმწიფო შეკვეთების თუ მოწყობილობა-დანადგარების საზღვარგარეთიდან შემოტანის საკითხი. სჯობს 50-100%-ით მეტი დაგვიჯდეს ჩვენი ძალებით რაიმე მოწყობილობის დამზადება, ვიდრე გარედან შემოვიტანოთ იგი. საბოლოო ჯამში, ჩვენი წარმოების ამუშავებით და ჩვენი მუშახელის დასაქმებით ჩვენი სახელმწიფო მაინც მოგებული დარჩება.

**თეიმურაზ რუხაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინფორმაციო საზომი ტექნიკის კათედრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

● საზღვარგარეთ

# როგორ გადავლახოთ ზეკაცი

თანამედროვე „ეპოქალური სულიერი სიტუაცია“ თავის თავს მრავალი სახით ავლენს. იგი პირველ რიგში ვლინდება ადამიანთა ქცევაში და ურთიერთობებში; შემდეგ მწერალთა, მეცნიერთა, პოლიტიკოსთა, რელიგიურ მოღვაწეთა და ფილოსოფოსთა ქადაგებებში. ჰერმან ჰესე ამბობდა: დღეს დედამიწაზე უცხოპლანეტელი რომ ჩამოვიდეს, ჩვენი ეპოქის ადამიანი შეიძლება ადვილად გაშიფროს, ნებისმიერი კბილის ექიმის კაბინეტის მოსაცდელში დაყრილი გასართობი ჟურნალ-გაზეთებიდანაცო. ერთ-ერთი ასეთი „სიმპტომატური“ წიგნია ირაკლი ბრაჭულის ფილოსოფიური ტრაქტატი „ზეკაცის მსოფლმხედველობა (ჰერმენევტიკის ენერგეტიკული პარადიგმები“ 1996 წ. თბილისი).

თანამედროვე ეპოქისა და ადამიანის შემსწავლელი ყველა დისციპლინა – იქნება ეს მეცნიერება, ხელოვნება თუ რელიგია, სულ უფრო ხშირად იყენებს ერთ ტერმინს. ესაა ტერმინი „პოსტ“: „პოსტკაპიტალიზმი“, „პოსტკომუნისტური“, „პოსტინდუსტრიული“ – ყველაფერი იმყოფება თავისი არსებობის შემდგომ (პოსტ) ფაზაში. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თვით ადამიანიც უკვე აღარ არსებობს, ხომ არ გაჩნდა რაღაც ახალი არსება – „პოსტადამიანი“?

ეს პრობლემა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დასვა ფრიდრიხ ნიცშემ. დარვინის ევოლუციის თეორიიდან და ისტორიის უწყვეტი პროგრესის იდეიდან მან გააკეთა ლოგიკური დასკვნა: ევოლუცია არ შეიძლება სადმე შეჩერდეს. მაშასადამე, იგი არც ადამიანის საფეხურზე არ შეჩერდება, როგორც თავის დროზე მაიმუნი გადალახა მასზე მაღლა მდგომმა „ჰომოსაპიენსმა“, ახლა თვით მასაც იგივე დაემართა. ადამიანი უკვე მოძველდა; საჭიროა იგი გადალახოს ზეკაცმა. ზეკაცი პირველ რიგში მარადიული ზნეობრივი ნორმების ზემოთ უნდა დადგეს. მისთვის მთავარი უნდა იყოს ენერგეტიკული სიძლიერე.

ამბობენ, ნიცშეს ეს წინასწარმეტყველება უკვე ახდაო. ამის გამოხატულებაა თანამედროვე ადამიანის არაჩვეულებრივი გატაცება მედიტაციით და ბიოენერგეტიკით. სპეციალურად დამუშავებული ტექნიკით ხდება ადამიანის ფსიქიკის სიღრმიდან გამოხმობა ისეთი ინფორმაციებისა, რომელნიც ატარებენ დიდ ენერგეტიკულ მუხტს. შექმნილია ფსიქოტექნოლოგიების მთელი ინდუსტრია. იგი უკვე მოიცავს ასობით კლინიკას, ინსტიტუტს, კომუნას, სამინისტრო კომპლექსსა და სანატორიუმს. შექმნილია სპეციალური სარეაბილიტაციო ბანაკები, რომლებშიც „ინტენსიური ჯგუფის“ ტრენინგი სრულდება ათასობით ფსიქოანალიტიკოსი და მედიტატორი ემსახურება ადამიანის გაზეკაცებას, გასუპერმენებას.

ირაკლი ბრაჭულის წიგნში ნაცადია იმის ჩვენება, რომ ამდაგვარი ტენდენცია – გაუნივერსალურება შეიცავს უდიდესი სულიერი კატასტროფის საფრთხეს. ზეკაცის მსოფლმხედველობა გარდუვალად თავდება მისი მატარებლის „შეძრწუნებითა და კრახით“. ადამიანის გადალახვისადმი მიმართული ყოველი სამედიცინო თუ სოციალური ექსპერიმენტი არა მარტო ამორალური, არამედ კრიმინალური (დანაშაულებრივი) ქმედებაა. ამის გაცნობიერებაა თანამედროვე ფილოსოფიის მთავარი ამოცანა. დღეს ნიცშესეული ამოცანა „შეტრიალებულია“. საჭიროა არა „ადამიანის გადალახვა“, არამედ სუპერმენის, ზეკაცის გადალახვა, ანუ მისი კვლავ ადამიანად მოქცევა.

ეს ეპოქალური მიზანი კი, ავტორის აზრით, მიიღწევა ტრადიციული სამოქალაქო და რელიგიურ თემთათვის – ოჯახის, სამშობლოს, ეკლესიის და ა.შ. თვითგანვითარების პოლიტიკური უზრუნველყოფის გზით.

**დემურ ჯალაღონია**

## მიხეილ სააკაშვილი: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ბოლო ვარიანტმა შეიძლება მიგვიყვანოს პოლიციური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე

საქართველოს პარლამენტის მიერ გუშინ პირველი მოსმენით მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ბოლო ვარიანტმა შეიძლება მიგვიყვანოს პოლიციური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, რაც ჩვენი სახელმწიფოსთვის უკან გადადგმული ნაბიჯია, – თქვა საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა პრეს-კონფერენციაზე.

საპროკურორო კონტროლის საკითხებს პარლამენტი მეორე მოსმენისას დაუბრუნდება.

სააკაშვილის თქმით, საპროცესო კოდექსის პრინციპული დებულებები რამდენჯერმე შეიცვალა. ბოლო ცვლილება პარლამენტში შემოტანამდე რამდენიმე დღით ადრე მოახდინა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, ჯონი ხეცურიანმა. საქმე გვაქვს მცდელობასთან, „დაკანონდეს დღეს ფაქტობრივად არსებული დარღვევები“.

კოდექსის ბოლო ვარიანტში ჩადებული მოდელი გადმოღებულია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტიდან“, რომელსაც პოლიციური სახელმწიფოს პროექტად თვლიან, – თქვა სააკაშვილმა.

პრაიმ-ნიუსთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ ბოლო ვარიანტით, უკონტროლოდ რჩება პოლიციის საგამოძიებო სამსახური, იშლება საპროკურორო კონტროლის ფუნქცია და იქმნება მოკვლევის და გამოძიების დახურული სისტემა, რაც დიდ საფრთხეს უქადის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს და ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ახალი კოდექსის მიხედვით, გენერალურ პროკურორს ერთი უწყებიდან საქმის მეორე უწყებაში გადაცემის უფლება ერთმევა.

დღეს არსებულ სისტემაშიც, პროკურორის კონტროლი, ხშირად, წმინდა სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ხოლო გამოძიება, ფაქტობრივად, ოპერატიული სამსახურის დანამატს წარმოადგენს. შემოთავაზებული კოდექსის მიღების შემთხვევაში კი, უკონტროლობა ტოტალურ ხასიათს მიიღებს. ერთადერთი გამოსავალია უწყებათა ურთიერთკონტროლი და გამჭვირვალობა, – უთხრა პრაიმ-ნიუსს სააკაშვილმა.

მისი თქმით, მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმის დროს, საქმეს იძიებდა უშიშროების ყოფილი შეფის, იგორ გიორგაძის უწყება, გენერალურმა პროკურორმა მოახერხა საქმის ამოღება. თუ ამის უფლება არ ექნება გენერალურ პროკურორს, მაშინ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებს ექნებათ უფლება, გადაწყვიტონ საქმე საკუთარი დაინტერესების მიხედვით, – თვლის მიხეილ სააკაშვილი. (პრაიმ-ნიუსი)

ჯანო ჯანელიძე

# რაიც გინდა, იგი იყავ!..



საქართველოს ტირის ლელი,
ალბათ გესმის შენ ჩემი,
გინდა იყავ ებრაელი,
გინდა იყავ ჩეჩენი.

იყავ ლეკი,
იყავ ბოშა,
მაგრამ არა ქართველი,
ქართველობა არ ღირს გროშად,
ბჟუტავს ქართვლის სანთელი.

ქარმა კარი გამოხურა
და მზე მოჰგავს მზე-გულაბს,
მოუქციე შენ სომხურად,
მაგრამ – არა მეგრულად.

და ცის ცისფერს გავცქერ კლიშეს,
ვეხეტები ეულად
და ქართველი ქართულ ცისქვეშ
დღეს ეულად ვქცეულვარ.

გოჭის ხმაზე ჭყივის ზურნა,
თბილისური ცა მხურავს,
ილაღობე აფსუურად,
მაგრამ – არა კახურად.

არც რა დარდი შემრჩა სულაც,
არა – ვაშა, ვთქვათ – „ურა!“..
მოუქციე შენ ქურთულად,
მაგრამ – არა სვანურად!..

ჰა, სიფათიც გვშვენის ვაჭრის,
რა გზა გვერგო, რა, ბეჩავს?!
მოკვდი, – საფლავს სადღა გაჭრი,
როცა მიწაც არ შეგვრჩა.

ჰა, ცრემლებად ცა მოსულა,
ცა ფიქრებში გართულა,
მოუქციე კვლავ ოსურად,
მაგრამ – არა ქართლურად!

ჩაგაცმევენ ჭრელ-ჭრელ ფერებს,
რაიც არის, ეს არი,
ხვალ – თათარსაც დაგარქმევენ,
ნათელია დღესავით.

ყველა ბრიყვი ჩვენ გვთვლის ბრიყვად,
არის მზისებრ ნათელი,
რაიც გინდა, იგი იყავ,
მაგრამ – არა ქართველი!..

ნეტავ ვიყო სანახევროდ
ან სომეხი,
ან ოსი,
გავიტანდი მაშინ ლელოს
ოქროვანი სამოსით.

ოქროვანი ჩინ-მედლებით,
ვითარც გუშინ აფსუამ,
მორჩილებით და მდედრობით
უკვე არვის ვახსოვართ.

რამდენ ქართველს თავი მოჭრეს,
დაითრიეს ბაწარით,
მაინც შვილებს (მართლაც ყოჩაღ!)
კვლავ აფსუურს ვასწავლით.

ვიღას უნდა სისხლით სუფთა,
სულით სუფთა ქართველი,
ქართველობა ძრახვად უთქვამთ,
ბჟუტავს ქართვლის სანთელი.

იყავ რუსი,
იყავ ოსი,
და სომეხიც ნისიად,
აი, თასი – მშვიდად მოსვით,
ეს ქართველის სისხლია.

შეგერგებათ მირონივით,
განმკითხველი – არავინ,
კვლავ ზეიმობს მწუხრი დილის,
მღერის ვარდი სამარის.

იყავ ლეკი,
იყავ ბოშა,
მაგრამ – არა ქართველი!..
ქართველობა არ ღირს გროშად,
ბჟუტავს ქართვლის სანთელი.

იყავ ჩუმად,
იყავ ბრიყვად, –
მღერის კვლავ კამათელი,
რაიც გინდა, იგი იყავ,
მაგრამ – არა ქართველი!..

ოღონდაც კი სანახევროდ,
მაგრამ – არა მთლიანად!..
ვაი, მკერდზე სისხლად ფერობს
ქართველობის იარა!..

31.10.97 წელი
ქ.თბილისი

## საქართველოს თურმე ბირთვული იარაღიც ჰქონია

ბეა-ს კორესპონდენტისთვის ცნობილი გახდა აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დადგენილება, რომელიც „1991-93 წლების ომის დროს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების მიერ ჩადენილ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას“ ეხება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის, მისი ხალხისთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღკვეთის მიზნით შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა აფხაზეთზე. საქართველოს საოკუპაციო ჯარებმა სამხედრო დანაშაულებანი ჩაიდინეს, დაანგრიეს ქალაქები და დასახლებული პუნქტები, გაანადგურეს კულტურული ფასეულობანი, მათ შორის – აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი და მსოფლიოში ერთადერთი ბოტანიკური ბაღი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“.

ვერ ყოფილა აფხაზების საქმე მთლად კარგად, თუ მათი ყველაზე დიდი კულტურული ფასეულობა ცენტრალური სახელმწიფო არქივია.

რაც ყველაზე საინტერესოა, აღნიშნულ დადგენილებაში მრავალ ბრალდებას შორის არის ასეთიც: „...სამხედრო ტექნიკის საშუალებით, მათ შორის მასობრივი მოსპობის იარაღით „გრადით“ და „ურაგანით“, აგრესორები წინასწარგანზრახვით და მეთოდურად ანადგურებდნენ აბჟუნის აფხაზეთის მოსახლეობას, რომელიც აფხაზი მოსახლეობის ნახევარს შეადგენდა. აფხაზმა მებრძოლებმა ხელში ჩაგდებულ 24-ე ქართული ბრიგადის შტაბის დოკუმენტებში იპოვეს გეგმა, რომელიც 1992 წლის 26 დეკემბერს აფხაზეთის 34 დასახლებულ პუნქტზე ბირთვულ შეტევას („массированного ядерного удара“) ითვალისწინებდა“.

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, თურმე ქართველებს ბირთვული იარაღიც ჰქონიათ. დოკუმენტის წაკითხვაც კი კმარა, რომ ცხადი ხდება – აფხაზების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. კიდევ კარგი, ქართული „ატომური ბომბი“ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა არ გამოიყენეს, თორემ ქართული ბირთვული შეიარაღების შესახებ ინფორმაციას ვინღა მოგვაწვდიდა. (ბეა)

## ქვიშაში ნაპოვნმა ხელყუმბარამ ექვსი ადამიანი დააზიანა

გუშინ, დილის 8 სთ-ზე ახალქალაქის ე.წ. „ბოშების უბნის" ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა სახლის მშენებლობისას სამშენებლო ქვიშაში იპოვა რგდ-ს ტიპის ხელყუმბარა, რომელიც აფეთქდა და მსუბუქად დააზიანა იქვე, საგაზეთო ჯიხურთან მდგომი 6 ადამიანი, რომელთა შორის ერთი უშიშროების რაიონული განყოფილების თანამშრომელია.

დაზარალებულებს ადგილზევე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება. მათგან სამი ახალქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს. შემთხვევის ადგილზე მივიდა პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში გიგლა ბარამიძე და გაესაუბრა დაზარალებულებს, რის შემდეგაც მან ჩაატარა ოპერატიული თათბირი სამართალდამცავი და უშიშროების განყოფილებების თანამშრომლების მონაწილეობით.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. წყაროს თქმით, გამოძიება ორი ვერსიით მიმდინარეობს. პირველი – ხელყუმბარა გამოყვა აბულის მთიდან მოტანილ სამშენებლო ქვიშას (აბულის მთაზე ადრე ფუნქციონირებდა რუსეთის სამხედრო ბაზის დივიზიის პოლიგონი), მეორე – ხელყუმბარა დადებული იქნა განაწყენებული მეზობლის მიერ, რომელსაც იმავე ადგილზე უნდა სახლის აშენება. (იპრინდა)

## აღვადგინოთ „კოლხური კოშკი"



მან ძერწა და აჩუქურთმა ქართული სიტყვა, აღაშენა ქართული აზრის სვეტიცხოველი, ასახელა მოდგმა ქართველთა...

ჩვენ? ჩვენ... მას სახლი დავუწვით. არქივსაც ვანადგურებდით, მაგრამ ღმერთმა არ დაგვანება.

დგას ამჟამად ნახანძრალი, გამურული კედლები და ამაოდ ელოდება აღდგენას და თავის ბინადართ – დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახის მეცეცხლურთ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მეუღლესა და შვილებს.

ელოდება, მაგრამ...

ნუთუ დავივიწყეთ „კოლხური კოშკი?" არა და არა, ბატონებო! მისი დავიწყება არ შეიძლება. არ შეიძლება ლოცულობდე სვეტიცხოველში და ბატონი კონსტანტინე არ გახსოვდეს. არ შეიძლება საქართველოს მეფეთამეფის დავით აღმაშენებლის ძეგლთან იდგე და კონსტანტინე ბატონი დაივიწყო.

უნდა აღვადგინოთ „კოლხური კოშკი", აღვადგინოთ იგი დარცხვენილებმა და თავდახრილებმა; აღვადგინოთ სწრაფად, ძალზე სწრაფად, რათა შთამომავლობამ არ ნახოს ჩვენი უგნური საქციელის დანატოვარი.

*კონსტანტინე გამსახურდიას*
*აფხაზეთის საზოგადოების სახელით*
**პროფ.გივი კილასონია**

## მილსადენის რამდენიმე ადგილას დაღვრილმა ნავთობმა გარემოს დაბინძურება გამოიწვია

ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე, რომელიც მწყობრში 1998 წლის ბოლოს უნდა ჩადგეს, აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს მილსადენის რამდენიმე ადგილას დაიღვარა ნავთობი, რამაც გარემოს დაბინძურება გამოიწვია.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მილსადენის კომპანია და ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია გუშინ გავრცელებულ განცხადებაში განმარტავენ, რომ ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების დასავლეთის მარშრუტის პროექტი მოიცავს როგორც ახალი ობიექტების (სუფსის ტერმინალი, სატუმბი და წნევის დამგდები სადგურები) და მილსადენის ახალი მონაკვეთების (დაახლოებით 40 კმ) მშენებლობას, ასევე საქართველოში 80-იანი წლების დასაწყისში აშენებული ნავთობსადენის რეაბილიტაციას თბილისი-სუფსის მონაკვეთზე.

ამჟამად, სხვა სამუშაოებთან ერთად მიმდინარეობს არსებული ნავთობსადენის შიგთავსისაგან დაცლისა და გაწმენდის სამუშაოები, რის გარეშეც ვერ დაიწყება მილის რეკონსტრუქცია. იმისათვის, რათა მოხერხდეს მილში არსებული შიგთავსის (ნავთობის ნარჩენები, ნავთობიანი წყალი, პარაფინები) გამოღება, მილში წნევით უნდა გატარდეს გამწმენდი მოწყობილობა. ამ ოპერაციას წინ უსწრებს მილის დაზიანებული ადგილების ჰერმეტიზაცია. როგორც ნავთობსადენის მდგომარეობის შესწავლამ აჩვენა, 90-იანი წლების დასაწყისში, ნავთობის უკანონო გამოღების მიზნით (პირველ 100 კმ-იან მონაკვეთზე 250-ზე მეტი დაზიანება), მილის გახვრეტის გამო, არსებული ნავთობსადენის შიგთავსისაგან დაცლა რთულ და უნიკალურ პროცესს წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მუშავდება სპეციალური მეთოდოლოგია, მაგრამ, მათი აზრით, სწორედ სამუშაოთა უნიკალურობის გამო, ვერ მოხერხდა ყველა დეტალის გათვალისწინება, რამაც რამდენიმე ადგილას ნავთობის დაღვრა და გარემოს დაბინძურება გამოიწვია.

განცხადების ავტორები არწმუნებენ საზოგადოებას, რომ აღნიშნული შეცდომების გამოსავლენად და შემდგომში მათი გამეორების თავიდან ასაცილებლად ყველა შემთხვევა საფუძვლიანად გამოიკვლევა. მათივე დაპირებით, გამკაცრდება და გადაისინჯება სამუშაოთა წარმოების რეგლამენტი და მილის ყველა დაზიანების წინასწარ აღმოსაჩენად გატარდება დამატებითი ღონისძიებები. (იპრინდა)

## ლატარია ყველასათვის

### 31 ოქტომბერს გამართულ 43-ე ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| **საცხ. ბინა** - 644549; | 30 ლარი — 128187; |
| 5000 ლარი — 213541; | 25 ლარი — ·53831; |
| 1000 ლარი — 657473; | 25 ლარი — ·31074; |
| 900 ლარი — 631710; | 25 ლარი — ·20325; |
| 800 ლარი — 410965; | 20 ლარი — ·46022; |
| 700 ლარი — 208141; | 20 ლარი — ·06829; |
| 600 ლარი — 604272; | 20 ლარი — ·46847; |
| 500 ლარი — 511962; | 10 ლარი — ···016; |
| 400 ლარი - 139268; | 10 ლარი — ···549; |
| 300 ლარი - 624380; | 10 ლარი — ···963; |
| 200 ლარი - 533098; | 5 ლარი — ···611; |
| 100 ლარი - 657256; | 5 ლარი — ···181; |
| 90 ლარი - 333292; | 5 ლარი — ···545; |
| 90 ლარი — 446349; | 1 ლარი — ···710; |
| 80 ლარი — 128365; | 1 ლარი — ···256; |
| 80 ლარი — 108878; | 1 ლარი — ···098; |
| 70 ლარი — 208987; | 1 ლარი — ···962; |
| 70 ლარი — 651301; | 1 ლარი — ···473; |
| 60 ლარი — 359676; | 1 ლარი — ···141; |
| 60 ლარი — 611652; | 1 ლარი — ···268; |
| 50 ლარი — 333614; | 1 ლარი — ···380; |
| 50 ლარი — 559296; | 1 ლარი — ···272; |
| 40 ლარი — 248631; | 1 ლარი — ···965; |
| 40 ლარი — 459743; | 1 ლარი — ···541; |
| 30 ლარი — 246383; | 1 ლარი — ···549; |

*ჯეკ-პოტი, 10000 ლარი მოიგო 41-ე ტირაჟის №502811 ბილეთმა. 100 ლარი მოიგო 38-ე, 39-ე და მე-40 ტირაჟების ბილეთმა №502811.*

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

1997 წლის 43-ე ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **2103**; შეუძლიათ 7 ნოემბერს მობრძანდნენ ტელევიზიის შენობაში „ლატარია ყველასათვის" მორიგი ტირაჟის გათამაშებაზე.

## კროსვორდი

შვეულად: 1. თეთრი ლითონი; 2. გარეული ცხოველი; 4. ნაჭუჭიანი ნაყოფი; 5. ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 6. ტალახი; 7. ქიმიური ელემენტი; 10. სახმელეთო შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 12. ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე; 13. ერთ-ერთი სამეცნიერო დარგის სპეციალისტი; 15. მწუხარება ანუ.. 16. ფრინველი; 17. აფრიკის სახელმწიფო; 18. წრეხაზის ორი წერტილის შემაერთებელი ხაზი, რომელიც ცენტრში არ გადის; 22. მატერიის უმცირესი ნაწილი; 21. ბოსტნეული მცენარე; 27. სხვისი ქონების მალვით წამღები; 28. კანის დაავადება; 29. ჰიგიენური დაწესებულება; 30. ხემცენარე; 31. შინაური ცხოველი.

თარაზულად: 1. შექსპირის „ოტელოს" პერსონაჟი; 3. რიცხვი; 7. გაპენტილი ბამბის ფთილა; 8. თვალმრუდი; 9. გამჭვირვალე ნივთიერების ფირფიტა; 11. ალმაცერი ანუ.. 14. ერთ-ერთი საინფორმაციო საშუალება; 17. პოეტური ნაწარმოები; 19. ძველებური ტრანსპორტი; 20. მიწაში ამოთხრილი ადგილი; 21. სამეურნეო იარაღი; 23. სუნამოს შუშა; 25. ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანო; 26. ოცი კაპიკი; 27. მეცნიერების დარგი; 32. საქართველოს მდინარე; 33. სადურგლო იარაღი; 34. ფრინველი; 35. მხრის ძირი; 36. ყველაზე დიდი არტერია.

**თამუნა მაჭავარიანი**



### წინა ნომრის პასუხები

თარაზულად: 1. პლაკირება; 8. გელათი; 9. ბოროტი; 10. ავიზო; 11. ბრუტო; 12. არაკი; 14. ობოლოსი; 17. ხვიჩა; 19. სტილი; 21. რედფორდი; 22. მიგრაცია; 23. ორგია; 26. ძიუდო; 28. ნამიბია; 29. ირემი; 31. კრონი; 32. ლეილა; 34. სტრიპი; 35. კამჩია; 36. აპერიტივი.

შვეულად: 1. პიანო; 2. არია; 3. ინდიელი; 4. ერბო; 5. აორტა; 6. რებუსი; 7. ატლასი; 11. ბახტრიონი; 13. იმიტატორი; 15. ბერდანა; 16. სირიუსი; 18. ჩიფსი; 20. ტრაპი; 24. გამეტა; 25. მირიანი; 27. უტოპია; 30. ირიდა; 31. კომში; 32. ლილე; 33. აკრი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447,
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444